საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 7 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **500 მანეთი.** ცალკე ნომერი ყველგან **20 მანეთი,** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **20 მანეთი** მეოთხე გვერდზე **15 მანეთი,** სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(10 × 2) 500 მანეთი.** ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება **ერთობის ქ. № 4,** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—70, კანტორის 16—62**

№ 279 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 279

მართა სვიმონის ასული შვილებითურთ: ლევან, გიორგი, ქეთევან და რძალი მარიამ გაბუნიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარი და ძვირფასი პირველის მეუღლისა და მეორეთ მამის

იოსებ მერაბის ძის გაბუნიას

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. თფილისში 3 დეკემბერს. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დიდუბე კონიუშენი ტუპიკი რკ. გზის სახლი № 1. დაკრძალვა სამშაბათს 7 დეკემბერს ნაშუადღევს 3 საათზე დიდუბის სასაფლაოზე.
(3894—2—2)

თფილისის რკინის გზის 1 და 2 მაღალ დაწყებით სასწავლებლების პედაგოგიური საბჭოები აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს უფროს ამხანაგის 2 მაღ. დაწყებით სასწავლებლის გამგის

იოსებ მერაბის ძის გაბუნიას

გარდაცვალებას, პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 6 საათზე დაკრძალვა 7 დეკემბერს სამშაბათს ნაშუადღევს 3 საათზე ადრესი: დიდუბე „კონიუშენი ტუპიკი“ რკ. ნის გზის სახლი № 1.
(3893—2—2)

სასწავლო კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 3 დეკემბერს გარდაიცვალა თფილისის რკინის გზის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი

იოსებ (სოსო) მერაბის ძე გაბუნია

გამოსვენება მოხდება ყოფილ რკინის გზის ბათალიონის ყაზარმების შენობიდან (დიდუბეში) 7 დეკემბერს ნაშუადღევს სამ საათზე.
(3900—1—1)

თფილისის რკინის გზის 1 და 2 მაღალ დაწყებით სასწავლებლების მოსწავლენი მწუხარებით აუწყებენ დაუვიწყარ მასწავლებლის და გამგის

იოსებ მერაბის ძის გაბუნიას

გარდაცვალებას. (3895—1—1)

სასწავლო განყოფილება აცნობებს რკინის გზის სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს, რომ 3 დეკემბერს გარდაიცვალა თფილისის რკინის გზის სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს რომ 3 დეკემბერს გარდაიცვალა თფილისის რკინის გზის მეორე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი

იოსებ (სოსო) მერაბის ძე გაბუნია

დაკრძალვა 7 დეკემბერს ნაშუადღევს 3 საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანში. (3900—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მელიტონ შვილები მინა და გაბრიელი დები ცუნუ ქენია და ანეტა ძმები დათიკო და ვანუშა, სიძეები რძლები კატო და მარო შვილებითურთ მაზლები სიმონი დიომიდე და სიმამრი ფირნაოზ ურუშაძენი მული კატო სალუქვაძე შვილებითურთ აუწყებენ ნაცნობთ მეგობართ ნათესავთ გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულებას დაუვიწყარის

ნინა გაბრიელის ასულის ურუშაძისას

რომლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 8 დეკემბერს 1920 წ. მთაწმინდის ეკლესიაზე 12 საათზე. (3901—1—1

დამწუხრებული და გულმოკლულნი: დედა სოფიო ალექსანდრეს ასული მეუღლე ელენე მარკოვას ასული ჯავახიშვილები, დები: ნატაშა, მაკრო და ლოლა და სიძეები, მიხაკო და სერგო აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 5 დეკემბერს დილით მანგლისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

რაჟდენ რაჟდენის ძე ჯავახიშვილი

რომელსაც გამოასვენებენ იქიდან 7 დეკემბერს. დასვენებული იქნება ქაშვეთის ეკლესიაში და პანაშვიდი გადახდილი იქნება 8 დეკემბერს 10 საათზე, რის შემდეგაც გაასვენებენ ცხედარს ქალაქ გორში და სადაც მოხდება დაკრძალვა. (3906—1—1)

თფილისის მაზრის მილიციის მოხელენი ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დ. მანგლისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მანგლისის უბნის მილიციის უფროსი ძვირფასი ამხანაგი

რაჟდენ ჯავახიშვილი

დღე და ნაშთის დაკრძალვის ადგილის შესახებ გამოცხადებული იქნება ცალკე. (3907—1—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

ობოლი მუშის

მოთხრობები

„საპატიმროს დღიურიდან“

1 წამებულნი, 2 ასხლო.

გამოცემა **უშანგი ელიავასი.** იყიდება რკინის გზის ყველა კიოსკებში, კანტორა „განათლებაში“ და სხვაგან. (5—2)

რესპუბლიკის აფიცერთა ეკონომიურმა საზოგადოებამ

მიიღო დიდძალი

მანუფაქტურა

საბნები, მაზარები, შარვლები და სხვ; საქონელი იყიდება წვრილზე და კერძო პირებზე სხვადასხვა ფასებში საზოგადოების საფარდლო მაღაზიიდან (რუსთაველის პრ.) საქონელი შეიძლება მიეცეს დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ადგილობრივ კომიტეტებს და კოოპერატივებს

◆◆◆◆ **ნისიათაც** ◆◆◆◆

აღნიშნული საქონელი გაიყიდება ბითუმათ კოოპერატივებზე და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებზედაც. გარდა ამისა საზოგადოებას აქვს შეძენილი საღი ხარისხის ხახვი, რომელიც იყიდება საზოგადოების ყველა მაღაზიებიდან. მოსამსახურეთა კომიტეტებს და ჯარის ნაწილებს შეუძლიათ შეიძინონ ჯგუფობით საზოგადოების მთავარ საწყობიდან. ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის ბინაზე—კირკის ქ. საკუთარი სახლი.

გამგეობა.

(6. 3—2)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, დეკემბრის 7-ს

მეოთხეჯერ **უგვირგვინო მეფენი** მეოთხეჯერ

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი აკაკი ფალავა.

ხუთშაბათს, დეკემბრის 9-ს და შაბათს, დეკემბრის 11-ს

პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური ტრაგედია

ბერდო-ზმანია დეკორაციები და ტანისამოსი მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი ალ. ახმეტელი. მუსიკა დ. არაყიშვილისა. ბალეტი და ხორო. ბილეთები კასაში. (6. 1—1)

მეორე ქართული კლუბი

დღეს სამშაბათს

სინემატოგრაფი

დასაწყისი სრულ 8 საათზე. (6. 1—1)

სახელმწიფო ოპერა

სამშაბათს, 7 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა

ლალატი

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს პირველად განახ. შემდეგ **ფრა-დიავოლო.** ხუთშაბათს, 9 დეკემბერს პირველად განახ. შემდეგ **ტოსკა.** პარასკევს, 10 დეკემბერს **აბესალომ და ეთერი.** დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (6. 1—1)

სადღეისო

სომხეთი გაწითლდა, გაწითლდა ძალა-უნებურათ; ქემალის ლაშქარმა იგი დაამარცხა, და დაუძლურებული წითელი არმიის ლუკმა შეიქნა. ამ რიგათ ეს გაწითლება ოდნავათაც არ წარმოადგენს სომხის ხალხის რევოლიუციურ ნებაყოფლობის აქტს. პირიქით, მას თავს მოახვიეს კომუნისტური რეჟიმი, ისე, როგორც აზერბეიჯანს, როგორც სხვა დაპყრობილ [illegible]. მაგრამ ასე თუ ისე, დღეს სომხეთის ხალხი ახალ მდგომარეობის წინაშე დგას.

რა მოელის მას?

სომხეთი ოფიციალურათ ისევ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკათ არის აღიარებული. მაგრამ შეინარჩუნებს კი იგი ამ დამოუკიდებლობას და არ გადაიქცევა ისეთსავე ვასსალურ მოკავშირეთ, როგორც აზერბეიჯანი? თვით სომხეთის გაწითლების ისტორია ამ საკითხს არა-დამოუკიდებლობის სასარგებლოთ სჭრის.

სომხეთი იძულებული იქნება მოსკოვის კარნახს დაემორჩილოს, მისი პოლიტიკა აწარმოვოს, მისი ჩვენებით იმოქმედოს. მას მისცემენ დამოუკიდებელ ნაბიჯის უფლებასაც, მაგრამ იმდენათ, რამდენათაც ეს ნაბიჯი საბჭოთა რუსეთის ანგარიშებში შედის, რამდენათაც იგი უკანასკნელის პოლიტიკურ ზრახვას და მიზნებს ეთანხმება.

საქართველოს კომუნისტები, რომელნიც რუსეთის მისიის კარნახით მუშაობენ, ამ შესვლას სომხის ხალხის გარევოლიუციონერებას აწერენ. მათი გაბალშევიკება სინამდვილეთ მიაჩნიათ. ეს რასაკვირველია სახელდახელოთ შეკერილი შირმაა, რომელიც დაპყრობის შიშველი ფაქტის დასაფარავათ არის მოტანილი.

თუ სომხეთის ხალხში შეიძლება რაიმე ელემენტის მოძებნა საბჭოთა ძალების სასარგებლოთ, ეს არის მისი ერთი ნაწილის რუსული ორიენტაცია. და როცა საბჭოთა ჯარი ვითომდა მხსნელის როლში ევლინება მას და ქემალის ლაშქრისაგან განწმენდას პირდება—იგი ერთიანათ ამ ტენდენციის თავის სასარგებლოთ გამოყენებას ფიქრობს.

ყოველ შემთხვევაში ფაქტი სომხეთის მოქცევისა რუსეთის პოლიტიკის ორბიტში, საქართველოსთვის მეტათ მნიშვნელოვანია.

იგი უნდა შესწავლილ და შეფასებულ იქნეს ჩვენის დემოკრატიისაგან.

სომხეთის ბედი მუდამ გარეშე ძალას ექვემდებარებოდა. დაშნაკელების გაბატონების მთავარი საფუძველი ხალხის აპეკუნობა იყო და მათი მოქმედებაც აპეკუნობის ძიებაში იხატებოდა.

რევოლიუციური შეგნება და თვითმოქმედება სომხის დემოკრატიისთვის მუდამ თავისთვის საფრთხეთ მიაჩნდა მის ხელმძღვანელებს. და ამ საბედისწერო გაჭირვების ხანაში ხალხმა ვერ გამოიჩინა ის სულიერი სიმტკიცე და რევოლიუციური გაბედულება, რომელსაც შეეძლო გამოეყვანა იგი განსაცდელისაგან. იგი ქანაობდა ქემალსა და ბალშევიკებს შორის, ხან ერთთან, ხან მეორესთან შერიგებას ცდილობდა და ბოლოს უძლიერესს მათში დაემორჩილა.

ეს საგულისხმო გაკვეთილია საქართველოსთვის. სომხეთის ხალხის ტრაგედია ამ ახალი ორიენტაციით არ თავდება. იგი მხოლოდ იწყება. და კიდევ ვინ იცის რა სახეს და ფორმებს მიიღებს. გარეშე ევროპის იმპერიალისტების ძალაზე დაყრდნობამ გაუცრუვა სომხეთის იმედები, ევროპამ მისი მანდატიც კი არ მიიღო და გარდა კერძო ქველმოქმედებისა არავითარი შველა არ მიაწოდა. სომხეთით ისარგებლეს და მიატოვეს. საბჭოთა რუსეთიც სომხეთით ისარგებლებს თავის ინტერესებისათვის.

მხოლოდ თავის შინაგან ძალებზე დაყრდნობას, მხოლოდ თვითმოქმედებას და რევოლიუციურ საქმიანობის გაძლიერებას, მხოლოდ მჭიდრო შეკავშირებას და რევოლიუციურ მთავრობის გარშემო მტკიცეთ შემოკრებას შეუძლია იხსნას ხალხი და რესპუბლიკა.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ საქართველოს დემოკრატია ახლაც გამოიჩენს ამ საჭირო თვისებებს და იხსნის ქვეყანას და თავის თავს ახალ საფრთხისაგან.

მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა

I

მუშის რეალური ხელფასი დღითიდღე ეცემა, ცხოვრება საშინელი სისწრაფით ძვირდება და დაქირავებული შრომის მდგომარეობა უარესდება. ზამთრის სეზონი ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. გარეთ უკვე დიდი სიცივეები დაიჭირა, შინ კი მუშა-მოსამსახურეთ არ აქვთ შეშა და ნავთი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, არ აქვთ საკმაოთ პური და სხ.

მუშათა უბნები დღეს საშინელ ტრაგედიას განიცდიან. იქ ადამიანები ნელი სიკვდილით კვდებიან სიმშილ სიცივისაგან.

ჩვენ ენერგიულათ უნდა შევებრძოლოთ ასეთ მდგომარეობას, უნდა მივიღოთ რეალური ზომები მუშა-მოსამსახურეთა ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

რა გზით შეიძლება ეს? ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მუშებს ეშველებათ, თუ მთავრობა ფულის ნიშნების სახით ჯამაგირებს გაუდიდებს. ეს დიდი შეცდომაა.

ფულით მიმატება არავის მდგომარეობას არ გააუმჯობესებს.

ამაში ჩვენ დავრწმუნდით მაგალითებით. ზაფხულის მიმატებას მოყვა ცხოვრების მეტი პროცენტით გაძვირება, ვინემ მოხდა ხელფასის გადიდება.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

ბონები რეალურ სიმდიდრეს არ წარმოადგენს.

მათი ბაზარზე გამრავლებით ზედმეტი საქონელი არ გაჩნდება, საზოგადოების სიმდიდრე არ მოიმატებს.

და აი, როცა ასეთ დროს ჯამაგირები იზრდება, ამით დაქირავებულთა მდგომარეობა არ უმჯობესდება. პირიქით, როცა ბაზარზე ცოტა საქონელია, ხოლო მის შესაძენათ მრავალი პირი გამოდის, მას აუცილებლათ საქონლის ფასის მომატება მოსდევს და ფულის მყიდველობითი ძალა კიდევ უფრო მეტად ეცემა.

ეს ეკონომიური ცხოვრების გარდაუვალი კანონია—მოთხოვნილების ზრდა და მიწოდების შემცირება აუცილებლათ იწვევს ცხოვრების გაძვირებას.

ცხადია, ჯამაგირების მომატება მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობას არ აუმჯობესებს.

სამაგიეროთ ხაზინისა და სახელმწიფოს მდგომარეობას ის მძიმე ლახტს სცემს: ფულის კურსი ეცემა.

ეს მოჯადოებული წრე უნდა გაირღვეს და მუშათა საშინელ გაჭირვებას რაიმე წამალი დაედვას.

სად არის ხსნა?

ჩვენი უბედურება იმაშია, რომ ქვეყანა ვერ ქმნის იმდენს, რამდენიც მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ არის საჭირო.

ამიტომ შრომის ნაყოფიერების ზრდა და უშრომელთა რიცხვის შემცირება ის საიმედო საშუალებაა, რომელიც ამით დანგრეულ ქვეყანას ფეხზე წამოაყენებს. მთავრობამ დაადგინა და პროფესიონალურმა კავშირებმაც მიიღეს წარმოებაში პრემიალური სისტემის შემოღება და ნარდით მუშაობა. ეს გონიერი გადაწყვეტილება დაჩქარებით უნდა განხორციელდეს. იგი ჩვენს პირობებში ერთ-ერთი რეალური საშუალებაა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლათ და მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

მარა ეს დღეს, ამ წამს ნაყოფს არ გამოიღებს. მუშებს კი შიათ და სცივათ. საჭიროა დაუყოვნებლივ მიეცეთ მათ რეალური დახმარება. მარა არა ფულით, არამედ ნატურით-საქონლით.

მთავრობამ ასეთი დადგენილება უკვე გამოიტანა. გადაწყვეტილია პურის რაციონის გადიდება, შაქრისა და ჩაის შეძენა და დარიგება და ზოგიერთი სხვა პირველ საჭიროების საგნების მიწოდება.

ეს საშუალება ერთად-ერთია მუშა-მოსამსახურეთა ყოფა ცხოვრების ნამდვილი გაუმჯობესებისათვის.

საჭიროა მხოლოდ ეს გადაწყვეტილება პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარდეს, ამისთვის მიღებულ იქნას ყოველგვარია ზომა როგორც მთავრობის, ისე საზოგადოებრივი დაწესებულებების მიერ.

ორი დიდი საჭირ-ბოროტო საქმე აქვს დღეს ჩვენს რესპუბლიკას გადასაწყვეტი: ერთია ქვეყნის დაცვა გარეშე საფრთხისაგან, მეორე მუშა-მოსამსახურეთა აუტანელი ცხოვრების შემსუბუქება.

ეს ორი მიზანი ერთი მეორეზე მჭიდროთ დაკავშირებულია.

მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი მორალური და მატერიალური ძალა აქეთკენ უნდა მივმართოთ.

მისია თუ სამხედრო ერთეული?

ჩვენ გადმოგვცემენ, რომ საბჭოთა მისიაში 300 კაცამდი მსახურობს.

სად გაგონილა ასეთი მრავალრიცხოვან მისია?

რა არის ეს—მისია თუ სამხედრო ერთეული?

ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, იღებს თუ არა მთავრობა ზომებს ამის შესახებ, რომ მისია მისიას გავდეს და არა შეიარაღებულ ბანაკს? მთავრობამ უნდა გამოარკვიოს ეს ლაშქარი მართლა მისიის მიერ არის საჭიროებული, თუ მისი სახელითა და მდგომარეობით ვინმე ბოროტათ სარგებლობს.

მოქალაქე თუ მოღალატე?

ამ ბოლო დროს თფილისში ძლიერ გამრავლდენ წითელქუდიანები. საბჭოთა მისიის მოსამსახურეთა გარდა, ამ ფორმას ატარებენ აგრეთვე ჩვენი მოქალაქენი, ქართველი ბალშევიკები.

ჩვენ ვიცით უკანასკნელთა მისწრაფებანი. ისინი სიტყვით აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მარა საქმით მის დამხობაზე მუშაობენ, შეთქმულთა რაზმებს აწყობენ შინ და გარეთ უცხოელ ძალებს საქართველოში შემოსასვლელათ მოუწოდებენ.

ახლა ეს ვაჟბატონები ქუჩებში დემონსტრატიულათ უცხოელთა ფორმაში დადიან.

ვინ არიან ისინი?

მოქალაქენი თუ მოღალატენი?

საბჭოთა „სოციალისტურ“ რესპუბლიკაში ასეთი საქციელისათვის ხვრეტენ.

ჩვენში რატომ ციხეში მაინც არ ვხედავთ ამ კლოუნებს?

ი.

დამფუძნებელი კრება

1 დეკემბრის სხდომა.

ნ. ჟორდანიას სიტყვა.

(დასასრული)

რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკა?

არის ორი ტიპი რესპუბლიკისა. არის რესპუბლიკა პარლამენტარული და რესპუბლიკა დემოკრატიული. პირველად 1849 წ. საფრანგეთის გამოჩენილმა მოღვაწემ ტიერმა საფრანგეთის რესპუბლიკას უწოდა პარლამენტარული რესპუბლიკა მის შემდეგ, რაც საფრანგეთის პარლამენტიდან გაძევებულ იქნენ მონტანიარები: ე. ი. უკიდურესი პარტიები და დარჩნენ მხოლოდ ბურჟუაზიის წარმომადგენლები. როგორია პარლამენტარული რესპუბლიკა ტიერის მიერ აღიარებული? ამის შესახებ კაუცკი შემდეგს სწერს: „ბურჟუაზიას შეუძლია ბატონობა მხოლოდ პარლამენტარულ მონარქიის დროს, როცა ამ მონარქიის მეთაური წარმოადგენს უბრალო დეკორაციას“.

ესე იგი ბურჟუაზიის მიუცილებელი მოთხოვნილება პარლამენტარული რეჟიმია, იქნება ის რესპუბლიკის ფორმა, როგორც საფრანგეთშია, თუ მონარქიის, როგორც ინგლისში—ეს სულ ერთია. კ. მარქსის სიტყვებით ბურჟუაზიას 1849 წელს ტიერის მეთაურობით ასე ესმოდა რესპუბლიკა: „ეს პარლამენტარული ფორმაა ბურჟუაზიის ბატონობის, რომელიც შეუზღუდველია (როგორც მონარქიაში) აღმასრულებელი ძალით და პალატის ვადის შესრულებამდე დათხოვნით“.

ერთი სიტყვით, ბურჟუაზიულ რესპუბლიკანურ პარლამენტარული წყობილების დროს მთელი ძალა-უფლება, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო არის მხოლოდ პარლამენტის ხელში. თვითმპყრობელი მეფის მაგივრად არის თვითმპყრობელი პარლამენტი, თავად-აზნაურობის მაგივრად—ბურჟუაზია. პრინციპი ერთნაირია—უაღლესი გაძლიერება ცენტრალური მთავრობის, მხოლოდ ეს ხდება სხვადასხვა ფორმით და საშუალებით. როცა ბურჟუაზია ხელთ იგდებს ეკონომიურ ძლიერებას, მაშინ ის პოლიტიკურადაც ბატონდება. პარლამენტარული წყობილების ბატონობის დროს ბურჟუაზიის ხელშია კანონების გამოცემაც, მათი ასრულებაც (ადმინისტრაცია, პოლიცია, ჯარი და სხვა). არც ერთ ამ ფუნქციას ის არ ანიჭებს არც ხალხს, და არც სხვა პარლამენტისაგან დამოუკიდებელ ორგანოებს.

პარლამენტარული რესპუბლიკა—ეს იგივე პარლამენტარული მონარქიაა უმონარქოთ და პირ-იქით. პარლამენტარული მონარქია თავისი სტრუქტურის მიხედვით იგივე პარლამენტარული რესპუბლიკაა უპრეზიდენტოთ. დამახასიათებელი თვისება რესპუბლიკისა, პრეზიდენტი კი არ არის და არც საყოველთაო საარჩევნო უფლება, არამედ—პარლამენტარული რეჟიმი, ე. ი. ბურჟუაზიის პოლიტიკური დიქტატურა, ყოველნაირი ძალა-უფლების მის ხელში მოგროვებით. ამ რეჟიმის მეოხებით ისინი სახელმწიფოს ფარგლებში არ ითმენენ და არ აძლევენ ნებას სხვა რომელიმე ძალა-უფლების დამკვიდრებას, თუ ის ცენტრზე არ არის დამოკიდებული და უკანასკნელი მას კანტროლს არ უწევს.

აქ ამ კითხვებში დამახასიათებელია არა პრეზიდენტი, არა მონარქი, არამედ პარლამენტარული რეჟიმი, ე. ი. ის, რომ მთელი ძალა-უფლება თავმოყრილია ცენტრში.

ასეთია მოკლედ პარლამენტარული რესპუბლიკა და ასეთი რესპუბლიკები არსებობენ საფრანგეთში, ინგლისში და სხვა მრავალ მოწინავე სახელმწიფოებში. თუმცა მონარქია არის, მაგრამ მას არ აქვს ძალა უფლება. მთელი ძალა-უფლება არის გადატანილი პარლამენტის ხელში. რანაირია დემოკრატიული რესპუბლიკა? ამის შესახებ მე ვწერდი: „პარლამენტარული რესპუბლიკისაგან დემოკრატიული რესპუბლიკა პრინციპიალურად განსხვავდება.

დემოკრატიულ რესპუბლიკას საფუძვლად ედება პრინციპი ხალხის პოლიტიკურ თვითმართველობისა. აქ ძალა-უფლება მარტო ცენტრში არ არის მოგროვილი, არამედ განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიების შორის. ხალხი ირჩევს არა მარტო დეპუტატებს პარლამენტისათვის, არამედ კანონების აღმასრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამსახურეებს და სხვა. ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს კანონების გამოცემაში. ასე რომ დამახასიათებელი თვისება დემოკრატიული რესპუბლიკისა ის არის, რომ აქ ხალხი პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. ამისთვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ხალხს თვითონ ჰქონდეს პარლამენტისაგან დამოუკიდებელი საკუთარი მართვა-გამგეობის ორგანოები. წინაამ-

დღეს

ლიანის ცნობით ყუბანში დგება ბალშევიკების საწინააღმდეგო ჯარი გენ. ფოსტიკოვის მეთაურობით.

სომხეთში.

2 დეკემბერს კარაკლისში მოვიდა რუსეთის ჯარის მოწინავე ნაწილი.

3 დეკემბერს ერივანში დაარსდა ადგილობრივი რევკომი, რომელმაც საბჭოთა მთავრობა გამოაცხადა.

ახალ მთავრობაში დაშნაკელები არ შედიან. მდრო დარჩა ჯარის მთავარსარდლათ პერსონალურად. (ხდს)

დიგ შემთხვევაში, თუ ცენტრალურმა ორგანომ შესძლო გაუქმება მოქალაქეთა ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა, მაშინ რესპუბლიკა იქნება არა-დემოკრატიული, არამედ პარლამენტარული. კარლ მარქსის აზრით „მთავრობამ უნდა გაამარტივოს, შეამოკლოს სახელმწიფოს მექანიზმი რაც შეიძლება ნაკლებათ იმართველოს, დაიჭიროს ნაკლები რიცხვი მოხელეებისა, ნაკლები კავშირი დაიკავოს ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან. უნდა შეიქმნას ბურჟუაზიისათვის და მათ საზოგადო აზრისათვის მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგანოები (id. 93,191) როცა ამრიგად ვანაწილებთ ძალა-უფლებას პარლამენტსა და ხალხს შორის, და ვაძლევთ უკანასკნელთ გარანტიას ცენტრის ოპეკის წინააღმდეგ, ამით ჩვენ საშუალებას უსპობთ ბურჟუაზიის ჩაერიოს სახელმწიფოს საშუალებით ხალხის ყველა საქმეებში, იყოს ყოველგან მყოფი მთავრობის ორგანოების საშუალებით. ერთი სიტყვით, ვამცირებთ და ვზღუდავთ ბურჟუაზიის პოლიტიკურ დიქტატურას.

თუ მაგალითად, ცენტრი სცემს კანონებს, ხოლო ის სისრულეში მოყავს ხალხის, ანუ რომელიმე ორგანოს მიერ არჩეულთ ცენტრის დამოუკიდებლათ, ცხადია, ბიუროკრატია უქმდება, მთავრობა რჩება უმოხელოთ. ანუ თუ კანონი, რომელიც გამოცემულია მთავრობის მიერ, ხალხმა არ მიიღო, მაშინ პარლამენტს ეკარგება უმაღლესი საკანონმდებლო ძალა უფლება, რომელსაც ზღუდავს ხალხი.

აქ, როგორც ხედავთ, დემოკრატიული რეჟიმის ან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი თვისება არის არა იმაში, ყავს თუ არა მას პრეზიდენტი, არამედ იმაში, რომ ძალა-უფლება არის სახელმწიფოში დანაწილებული ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ასეთი უფლება არის სამნაირი: კანონმდებლობა, ადმინისტრაცია ანუ მმართველობა და სასამართლო.

მაშასადამე დემოკრატიულ რესპუბლიკაში არის კანონმდებელი პარლამენტი და ხალხი. ხალხს აქვს უფლება სთქვას თავისი აზრი იმ კანონზე, რომელიც მიიღო პარლამენტმა, ან მოიწონოს, ან დაიწუნოს. ამას ეწოდება რეფერენდუმი.

აგრეთვე ხალხს აქვს უფლება თვით აღძრას კანონის გამოცემის საკითხი. შეიტანოს პარლამენტში პროექტი და პარლამენტი იძულებულია ამაზე იქონიოს მსჯელობა: ან უარყოს, ან მიიღოს. მაშასადამე, თუ ხალხს სურს კანონის გამოცემა და პარლამენტი უარყოფს, რასაკვირველია, მას აქვს უფლება რეფერენდუმის და სხვა გზის, რომ პარლამენტს დაატანოს ძალა, რომ ეს კანონი იქნეს გამოცემული. მაშასადამე მას აქვს უფლება კანონმდებლობისა, ეს კანონმდებლობა ნაწილდება ცენტრსა და პერიფერიებს შორის ე. ი. ხალხში.

ასეთია პრინციპი მართველობის. არის ცენტრი—მთავრობა და არის ორგანო ხალხისა: თემი, ერობა, ქალაქები.

და აი, ადმინისტრაცია, როცა ასრულებს ამა თუ იმ ბრძანებას, ის ემორჩილება არა მთავრობას, არამედ ხალხის ამ ორგანიზაციებს. მაშასადამე ეს მმართველობის განაწილება აქაც ხდება. ასევე ხდება სასამართლოს სფეროში, ხალხი თავისი ორგანოს საშუალებით აირჩევს მოსამართლეებს, ზოგს ნიშნავს პარლამენტი, ასე რომ სასამართლოს ფუნქცია არის დანაწილებული ცენტრსა და ხალხს შორის.

ასეთია დემოკრატიული რეჟიმის ძირითადი პრინციპები და დანაწილება სახელმწიფო ფუნქციებისა, ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

აი ეს შეხედულება დაცულია კომისიის პროექტში. აქ არის ძირითადი საკითხები დემოკრატიზმისა გატარებული. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ შემდეგი ამ ძირითადი პრინციპებისა ვერ არის გატარებული ამ პროექტში როგორც საჭიროა. და თუ ამ კონსტიტუციას ჩვენ ავაგებთ ისე, როგორც ამაში სწერია, ის ერთ თვეში ან თვითონ დაირღვევა, ან სახელმწიფოს დაარღვევს.

რაშია აქ საქმე?

აქ არის რამდენიმე წინააღმდეგობა, რომელიც არ ეგუება იმ ძირითად დებულებებს. დემოკრატიზმისა, რომელიც აქ არის და რომლებზედაც მე მოგახსენებთ:

პირველი წინააღმდეგობა. აქ არის დაცული წმინდა პარლამენტარული სისტემა. წმინდა პარლამენტარიზმი არ ეგუება რეფერენდუმსა და ინიციატივას. რატომ? თქვენ იცით, რას ნიშნავს წმინდა პარლამენტარიზმი: ეს ნიშნავს, რომ მთავრობა დგება და იშლება თანახმად იმ უმრავლესობის სურვილისა, რომელიც არის ამა თუ იმ პარლამენტში.

აქ შეიძლება, მაგალითად, პარლამენტს მოეწონდეს მთავრობის პოლიტიკის საერთო ხაზი, მაგრამ ამა თუ იმ საქმეში დაინახოს შეცდომა და, როგორც იტყვიან, ფორმულაში უსაყვედუროს მთავრობას, მთავრობა იძულებულია გადადგეს. იყო შემთხვევა ინგლისში—კურიოზული მაგალითი. ერთ მინისტრს დაუკავეს ერთი თუმანი და ამიტომ იგი გადადგა (ვეშაპელი: ჩვენში საწინააღმდეგო კურიოზებს აქვს ადგილი) ის, რაც ჩვენში არის, ჩვენი აზრით არის ღირსება და არა ნაკლი. (ვეშაპელი: ჩვენი მინისტრი 1 მილიარდისათვის არ გადადგება) არ გადადგება იმიტომ, რომ ბ-ნ ვეშაპელს არ მოსწონს. მაგრამ თუ აქ დაადგენს უმრავლესობა, მინისტრი წავა.

მაგრამ ეს კერძო შემთხვევა სამინისტროს გადადგომა, არ ეგუება პრინციპს დემოკრატიზმისას. რატომ?

აი რატომ: ჩვენ ვსთქვით, რომ თვით ხალხს შეუძლია დაიწუნოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ვთქვათ მიღებულია კანონი, თუ ხალხი მას რეფერენდუმის ძალით უარყოფს, მაშინ პარლამენტი უნდა წავიდეს წმინდა პარლამენტიზმის წესით. მაგრამ პარლამენტი რჩება და რჩება იმიტომ, რომ ის არის ხალხის მიერ არჩეული.

საერთო ხაზი პარლამენტის ამ პოლიტიკისა ხალხს მოსწონს, მაგრამ მას შეუძლია ესა თუ ის ნაბიჯი კანონმდებლობაში არ მოიწონოს. ამიტომ პარლამენტი არ არის ვალდებული სთქვას, მე არ მაქვს ხალხის ნდობაო და წავიდეს.

მაშასადამე ჩვენ უნდა გავარჩიოთ სამი მხარე: 1) საერთო პოლიტიკის ხაზი, 2) კერძო პრაქტიკული საკითხები და 3) მთავრობის კრიზისი და აი ამაში უნდა იყოს განსხვავება და, როცა საერთო პოლიტიკური ხაზი მოწონებული არის, კერძო პრაქტიკულმა კითხვებმა ვერ უნდა გამოიწვიოს კრიზისები.

მაშასადამე აქ უნდა მოხდეს ის, რაც ხდება დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ე. ი. როცა პარლამენტი ადგენს, სამინისტრო ვალდებულია დაემორჩილოს ისე, როგორც, როცა ხალხი ადგენს ეს კანონი არ ვარგაო, პარლამენტი ვალდებულია ეს აასრულოს.

მაშასადამე პრინციპი დამორჩილების არ არის პრინციპი კრიზისებისა, არამედ არის პრინციპი დემოკრატიზმისა უამისოდ დემოკრატიული რეჟიმის არსებობა შეუძლებელია. (ვეშაპელი: მორჩილი მინისტრი სჯობია ყოველთვის) მგონია ის მინისტრი, რომელიც შეასრულებს დადგენილებას, უკეთესია, ვიდრე ის, ვინც მას არ ასრულებს და ქმნის კრიზისებს, (ვეშაპელი: თუ არ შეუძლია?) თუ არ შეუძლია ან ავადაა, ეს სხვა საქმეა. მაგრამ, თუ ის არ არის თანახმა ამა თუ იმ დადგენილებისა, ის არ არის ვალდებული წავიდეს. ხშირად მთავრობა და მე, თქვენი მორჩილი მონა, არა ვართ თანახმა თქვენი დადგენილებისა, მაგრამ ჩვენ მას ვასრულებთ. (კედია: თუ პარლამენტს უნდა თქვენი წასვლა?) მაშინ ამის შესახებ დადგენილება უნდა იყოს.

მაშასადამე კრიზისების მოწყობა ეწინააღმდეგება დემოკრატიზმის პრინციპს. ეს ერთი წინააღმდეგობა. მეორე წინააღმდეგობა, რომელიც არის კონსტიტუციის პროექტში, არის შემდეგი: აქ არის წამოყენებული პრინციპი პარლამენტარიზმისა, მაგრამ არის უარყოფილი პრეზიდენტი. ამაში ულოღიკობაა. პრეზიდენტი პარლამენტარიზმის ღვიძლი შვილია. პრეზიდენტი არის ისეთი პირი, რომელიც განსაკუთრებულ დროს არის სახელმწიფოს მესაჭე. მთავრობა იცვლება, შეიძლება მთავრობაში მოხდეს კრიზისი, ეს 1—2 კვირა გაგრძელდეს, ხოლო სახელმწიფოს საზღვრებზე კი მტერი გამოჩნდეს. პასუხისმგებელი მთავრობა აღარ არის. მაგრამ აგერ არის კაცი, ის არის პასუხისმგებელი, უმაღლესი დარაჯი და მას მოეთხოვება მიიღოს ყოველნაირი ზომები, რომ სახელმწიფო იქნეს ხსნილი ამ საშიშროებისაგან.

მაგრამ თუ თქვენ პარლამენტარული კანონები გაქვთ, არის კრიზისი, აღარ გყავთ მთავრობა, სახელმწიფო უპატრონოდაა—თქვენ იცით, ეს მოხდა აზერბეიჯანში, სადაც 21 დღე იყო მთავრობის კრიზისი და ამასობაში ბოლშევიკები მოვიდნენ.

ასე რომ, პარლამენტიზმიდან უეჭველად გამომდინარეობს პრეზიდენტის არსებობა, მაგრამ მე ვამბობ, რომ დემოკრატიზმიდან ეს არ გამომდინარეობს. (გვაზავა: ამერიკა რომ არის დემოკრატიული და პრეზიდენტიც არის) დიახ, მაგრამ იქაურ პრეზიდენტს მეტი უფლება აქვს, ვიდრე ბევრს მონარქებს ევროპაში.

იქ საქმე სხვანაირ წესზე არის აგებული. ყოველ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი კონსტიტუცია. თუ თქვენ გინდათ ჩვენ ქვეყანას ჩააცვათ სხვანაირი ტანისამოსი, ეს ვერ მიუდგება. ეს, ბატონო გიორგი, მთავარი საკითხია და ამიტომ ვამბობდით თავში, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ჩვენს ქვეყანას მივცეთ ისეთი კონსტიტუცია, რომელიც მას ეკადრება და არა ამერიკის შეერთებულ შტატების. ჩვენ ისეთი კონსტიტუცია უნდა გვქონდეს, რომელიც შეეფერება ჩვენს ფაქტიურ ძალთა განწყობილებას, იგი უნდა იყოს აგებული ამაზე, და არა იმაზე, რაც არის ამერიკაში.

რა არის დემოკრატიული რეჟიმი? ავიღოთ მაგალითისათვის შვეიცარიის დემოკრატიული წესწყობილება. იქ არ არის პრეზიდენტი, მაგრამ არის თავმჯდომარე. მინისტრები რიგ-რიგობით ასრულებენ ამ მოვალეობას, მაგრამ პრეზიდენტი ცალკე გამოყოფილი არ არსებობს. იმავე დროს იქ არის ისეთი კონსტიტუცია, რომ სახელმწიფო ერთი წუთითაც არ რჩება უპატრონოდ. მაშასადამე, იქ არის პასუხისმგებელი პირი, რომელიც მუდამ უყურებს, ასრულებს მთავრობის მოვალეობას და სახელმწიფო არ რჩება ისეთ მდგომარეობაში, როგორც აზერბეიჯანში. ე. ი. როცა არ არსებობს მთავრობა, მინისტრები, არის ერთი პირი, რომელიც ამ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ უნდა იყოს არჩეული ერთი პირი განსაზღვრული ვადით, და ამ განსაზღვრულ ვადაში უნდა იყოს ის თავის პოსტზე. ჩვენში ასეთი ჩვეულება იყო: აქამდე პარლამენტი, ან დამფუძნებელი კრება ირჩევდა მთავრობის თავმჯდომარეს და ის ადგენდა კაბინეტს. თავის თავად ცხადია, რომ წმინდა შვეიცარიული სისტემა ჩვენში არ გამოდგება. შვეიცარიაში არის მთავრობა საქმიანი ხალხისაგან შემდგარი, ასე ვთქვათ, მთავრობა შემდგარი, მოხელეებისაგან. ჩვენში კი უნდა იყოს პოლიტიკური მთავრობა, იქ, შვეიცარიაში, მთავრობა არ აწარმოებს საგარეო პოლიტიკას, რადგან იგი ნეიტრალური სახელმწიფო არის, საგარეო პოლიტიკა არა აქვს და ამიტომ შესაძლებელია ასეთი საქმიანი, მოხელეების მთავრობა ყავდეთ. მაგრამ ჩვენში, საქართველოში, რომელსაც ირგვლივ ისეთი მეზობლები ყავს, რომ საგარეო საკითხი და საგარეო პოლიტიკა მთავარ საკითხად არის გადაქცეული, უნდა იყოს პოლიტიკური მთავრობა და არ შეგვიძლიან ისე აწყობა მთავრობისა, როგორც შვეიცარიაში არის. ჩვენ ერთი შეგვიძლიან მივიღოთ იქიდან: ეს ის, რაც ჩვენ პრაქტიკაში არის განმტკიცებული. აი, ის ერთი რომ რასაც ჩვენში უკვე ერთნაირი მოქალაქეობრივი უფლება აქვს მოპოებული, მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობის თავმჯდომარე ვადით იქნას არჩეული. ამ ვადის განმავლობაში მთავრობის თავმჯდომარე რჩება თავის პოსტზე, შეიძლება მინისტრები შეიცვალონ, ან ყველა წავიდნენ, მაგრამ ერთი პირი, რომელსაც ექნება ფუნქცია პრეზიდენტისა, სახელმწიფო წარმომადგენლობისა თავის ადგილზე უნდა იყოს ყოველნაირი შემთხვევაში. შეიძლება მოხდეს ასე, რომ ან სამხედრო მინისტრი ან სხვა, რომელიმე მინისტრი არ არის, მაგრამ ეს ერთი პირი მაინც არის, უყურებს სახელმწიფოს და ამ პიროვნებაში ერთდება მთავრობის თავმჯდომარეობა და სახელმწიფოს წარმომადგენლობა. მთავრობის თავმჯდომარე იძულებული იქნება, რომ ყოველი დადგენილება პარლამენტისა მოიყვანოს სისრულეში: იქნება ეს დადგენილება პოლიტიკური ხასიათის, თუ შეეხება ამა თუ იმ მინისტრს: თუ კი დაადგენს პარლამენტი, რომ ამა და ამ მინისტრს არ ენდობა, მთავრობის თავმჯდომარე ვალდებული იქნება, რომ ის მინისტრი გამოცვალოს. ასეთი შეერთება პარლამენტარიზმის და დემოკრატიზმის სისტემისა, ერთის მხრით ვადიანობისა და მეორეს მხრით უვადიანობისა, აგვაშორებს იმ ნაკლს, რომელიც ამ პროექტში არის თანდაყოლილი. ჩვენში არ იქნება პრეზიდენტი, ცალკე პიროვნება, მაგრამ ჩვენში იქნება ისეთი პირი, რომელიც ასრულებს მის მოვალეობას...

თავმჯდომარე: ვინაიდან თქმენი დრო გათავდა, მე წინადადებას ვაძლევ დამფუძნებელ კრებას კიდევ გაგიგრძელონ ლაპარაკის დრო. (ხმები: გთხოვთ). წინააღმდეგი არავინ ბრძანდებით?—არავინ. გთხოვთ განაგრძოთ.

ნ. ჟორდანია. აი, თუ ასეთ ნაირად ავაწყობთ ჩვენ ცენტრალურ მთავრობას, თუ ჩვენ მთავრობის თავმჯდომარეს დავაკისრებთ ფუნქციებს წარმომადგენლობისა, მაშინ, ცხადია ყოველ კრიზისის დროს, მთავრობის გადადგომის ან მინისტრების შეცვლის დროს, ის უნდა იყოს დარაჯი მთელი სახელმწიფოსი, მას უნდა ჰქონდეს ერთნაირი უფლებებიც. მას უნდა ჰქონდეს უფლება, როცა მთავრობა არ არის, ანდა შეფერხებულია, გამოიყვანოს ჯარი, სანამ პარლამენტი შეიკრიბებოდეს და ეს შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობოს პარლამენტს. მაგალითად ისეთ ქვეყანაში, როგორც ჩვენია, სადაც ირგვლივ ისეთი მეზობლები გვყავს, რომ არ იცი საიდან ან და როდის რა მოგელის, მთავრობა უნდა იყოს ფხიზელი, დარაჯი და თუ ამ მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც რჩება უცვლელი არ ექნება ეს უფლება, ჩვენ ქვეყანას განადგურება არ აცდება. ჩვენ არა ვართ შორს საზღვრებიდან ჩ 2—3 საათის განმავლობაში შეიძლება უცხო ჯარი შემოვიდეს და ეს ჩვენი ქალაქი, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთი საქართველო დაიპყროს. რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა, რომ ამ პიროვნებას, მუდმივ დარაჯს სახელმწიფოში, ჰქონდეს მეტი უფლება, ვიდრე ამ პროექტში არის აღნიშნული. ჩვენი კონსტიტუციის პროექტში ის აზრი არის გატარებული, რომ, რაც შეიძლება მთავრობას ნაკლები უფლება ჰქონდეს, ეს, რასაკვირველია, ასე უნდა იყოს ფედერატიულ სახელმწიფოში, მაგრამ უნიტარულ. დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასე არ უნდა იყოს. თავის თავად ცხადია, რომ ამ მთავრობას არ უნდა ჰქონდეს ისეთი უფლებები, რომ მან შესძლოს ხალხს წაართვას უფლება, მაგრამ, არც ისე უნდა იყოს დიუძლურებული თავის უფლებებით, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებმა დაარღვიოს სახელმწიფო. სწორედ ასეთი საშუალო ფორმულის გამონახვა კონსტიტუციის პრობლემა არის. აქ აუცილებელი საჭირო არის ერთ საგანზე ვიფიქროთ. ძირიდადი პრობლემა კონსტიტუციისა იმაში მდგომარეობს, რომ ერთის მხრით თავისუფლება და წესიერება და მეორეს მხრით მთლიანობა იქნას დაცული. ამიტომ საჭირო არის ცენტრალური ძალა მმართველობისა აღჭურვილი იყოს ისეთი ძალა-უფლებით, რომ სახელმწიფოს და წესიერების დამრღვევთა წინააღმდეგ მიიღოს ზომები. სწორედ ამ მმართველობის ორგანიზაციის საკითხი არის ძირითადი საკითხი კონსტიტუციისა. ჩვენში თუ ეს მმართველობის ორგანიზაცია ისე მოეწყო, რომ ხალხს შერჩეს უფლებები და ამავე დროს თუ არ იქმნა დარღვეული სახელმწიფოს წესიერება, მაშინ მართლა შესანიშნავად იქნება გადაწყვეტილი კონსტიტუციის ეს საკითხი. თუ არა, მუდმივი კოლიზია და შეხლა-შემოხლა იქნება ცენტრალურ მთავრობის, პარლამენტის, ადგილობრივ ორგანიზაციების და ხალხს შორის.

მაგრამ ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ ხალხს, დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც უაღრეს როლს თამაშობს შეკავშირებული მუშათა კლასი, ვერ დააკმაყოფილებს წმინდა პოლიტიკური ფუნქციები. სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს, გადაიქცეს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ, იმავ დროს სამეურნეო ორგანიზაციათ. აქ, დემოკრატიულ სახელმწიფოს დემოკრატიული მთავრობა და მთელი მმართველობის ორგანოები უნდა სცდილობდენ, რომ სახელმწიფოში საზოგადოებრივი მეურნეობა იქნას აღორძინებული და ხალხის მატერიალური მდგომარეობა იქნას გაუმჯობესებული. მდიდარი კლასების მისწრაფება სწორედ რომ წინააღმდეგი არის, მისი მთავარი მისწრაფება არის, რომ სახელმწიფო იყოს მხოლოდ პოლიტიკური ორგანიზაცია და არ აწარმოოს სამეურნეო საქმიანობა. თქვენ იცით, რომ ამერიკაში თუმცა დემოკრატიული სახელმწიფოა, მაგრამ მის ხელში დღეს რკინისგზებიც არ არის... ასე რომ ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში იმ აზრისა არიან, რომ სამეურნეო საეკონომიო საქმე არის პიროვნების საქმე. პირიქით, სოციალისტური მიმდინარეობა და სოციალისტური აზროვნება იმაშია, რომ სახელმწიფო თანდათან გადაიქცევა სამეურნეო ორგანიზაციათ. ვინაიდან ჩვენში ქმნის კონსტიტუციას სოციალისტური ელემენტები, თავის თავად ცხადია, რომ ეს ძირითადი პრინციპები უნდა იყოს ჩაქსოვილი კონსტიტუციაში. ამ მხრით ჩვენი რესპუბლიკა ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. არც ერთ რესპუბლიკას ქვეყანაზე არ აქვს ისეთი უზარ-მაზარი ქონება, როგორც ჩვენ: ტყეები, წყლები, მადნები, რკინის გზები, მიწები. მაშასადამე, ჩვენ გვაქვს ფართო ასპარეზი, ეს სიმდიდრე უნდა დაამუშავოს სახელმწიფომ და გახადოს ერთნაირ წყაროდ ხალხის მატერიალურ სიმდიდრისა. ამნაირად პირველ რიგზე სახელმწიფომ უეჭველად უნდა დააყენოს ეკონომიური კითხვები, მატერიალურ კულტურის განვითარება და თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია.

აი ასეთია ძირითადი კითხვა დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციისა. მე აქ, რასაკვირველია, არ შევუდგები უფრო წვრილმან საკითხებს ან ცალკე თავებზე ლაპარაკს—ამაზე ალბათ ჩემი ამხანაგები ილაპარაკებენ. ამნაირად ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიულ, უნიტარულ რესპუბლიკას, უფლებათა განაწილებას ცენტრალურ დაწესებულებათა და ხალხის და მის ადგილობრივ ორგანოთა შორის, უზრუნველყოფს უპრეზიდენტობას, მაგრამ ამასთანავე სახელმწიფოს მთლიანობას მთავრობის დამორჩილებას პარლამენტისადმი და კრიზისების აცილებას თავიდან თავისუფლების და წესიერების ერთად შეთავსებას, სახელმწიფოს თანდათან სამეურნეო ორგანიზაციათ გადაქცევას და შიგ შრომის შვილთა პოლიტიკურად და ეკონომიურათ გაბატონებას. ეს იქნება პირველი კონსტიტუცია აგებული სოციალისტურ დემოკრატიულ საფუძველზე და მას დაუპირდაპირებთ ყველა არსებულ ბურჟუაზიულ და ბოლშევიკურ კონსტიტუციას, ეს იქნება მესამე ტიპის კონსტიტუცია, მართლაც ხალხური და მასთან ერთად სოციალისტური. (ტაში).

საკათალიკოსო საბჭოს დელეგაცია მთავრობის თავმჯდომარესთან

მიმდინარე წლის ნოემბრის 13-ს ქუთაისის სამაზრო ერობის თავმჯდომარისაგან ბ-ნმა მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა, სადაც მას ერობის თავმჯდომარე ატყობინებდა, რომ გელათის მონასტრის ძვირფასი ნივთები იყიდება ბერების მიერ და ზოგი-ერთი გაყიდული ნივთები დააკავეს. მთავრობის დავმჯდომარემ მაშინვე გააგზავნა თავისი რწმუნებული და მიანდო: თუ ფაქტი ბერების მიერ ნივთების გაყიდვისა დამტკიცდებოდა, მიეღო ყოველივე ზომა გელათის მონასტერში შენახულ ძვირფასი განძეულობის დაცვისათვის, თუ საჭიროდ დაინახავდა გადეტანა ის სახელმწიფო ხაზინის სალაროში. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარს აგვისტოში ნება მიუცია გელათის მონასტრის წინამძღვარისათვის, რომ მას „გაეყიდნა ისეთი ნივთები, რომელიც საეკლესიო სახმარებლად არ არის საჭირო“. მონასტერში დაცულ საუნჯის სამალავი მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულს გარღვეული დახვდა და ამის მიზეზათ ეკონომის გამოცვლა დაასახელეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ერთ ძვირფას ხატს რამდენიმე თვალი ახლად აცლილი აქვს და, უეჭველია, გაყიდულია. რამდენი ნივთები გაიყიდა აგვისტოს შემდეგ,—ამის თქმა ჯერ-ჯერობით ძნელია.

ყველა ამის შემდეგ მთავრობის რწმუნებულმა მიიღო ზომები მთელი ამ განძეულობის მონასტრიდან გამოტანისა და მის დასაცავად საიმედო ადგილს.

საკათალიკოსო საბჭომ ამ ორი დღის წინათ სთხოვა ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს დაენიშნა დრო საკათალიკოზო საბჭოს დელეგაციისათვის აღნიშნულ საქმის გამო მოსალაპარაკებლად. ბ. მთავრობის თავმჯდომარემ მოსალაპარაკებელ დროთ საბჭოს დაუნიშნა დეკემბრის 6 12 საათზე. აღნიშნულ დროზე ბ. მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა საკათალიკოზო საბჭოს დელეგაცია კათალიკოზ პატრიარქის ლეონიდეს მეთაურობით. მისვლისთანავე კათალიკოზმა მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს სრულიად დაუშვებელ და შეუწყნარებელ სიტყვებით. მან სამღვდელოების სახელით მთავრობის თავმჯდომარეს გამოუცხადა „გაკიცხვა, აღსაშფოთებელი გულისწყრომა და პროტესტი“ სხვა ასეთი სრულიად უდიერი სიტყვებით. ბ. მთავრობის თავმჯდომარემ ამის შემდეგ დელეგაციას განუცხადა: საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი და მისი მთავრობის თავმჯდომარე ასეთ შეურაცხმყოფელ სიტყვებს ვერ მოისმენს და ამიტომ მათთან ყოველგვარ ლაპარაკს სწყვეტს. მე ვფიქრობდი, განუცხადა თავმჯდომარემ, რომ თქვენ მობრძანდით საქმეზე მოსალაპარაკებლად და არა შეურაცხყოფის მოსაყენებლად. ამის შემდეგ დელეგაცია იძულებული იყო დაეტოვებინა მთავრობის თავმჯდომარის კაბინეთი. (სდს).

სახალხო გვარდიის დღესასწაული

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისაგან

(12 დეკემბრის დღესასწაულის საერთო წესრიგი).

საერთო დღესასწაულის ხასიათი ჩვეულებრივია.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა კუთხეებში დღითი იმართება სადღესასწაულო აღლუმები შეიარაღებული ძალებისა. საღამო უნდა მოეწყოს შინაარსიანი პროგრამით—და მიმდინარე მომენტზე მოხსენებებით.

ხელმძღვანელობა ეკისრება ადგილობრივ შტაბებს სამხედრო შტაბებთან, ქალაქის თვითმართველობასთან და ერობებთან ერთად.

(თფილისის წესრიგი:) დღესასწაული იწყება 11 საათზე. დღესასწაულის ნიშნად წინ ზარბაზნიდან გაისვრიან რამოდენიმეჯერ.

ქალაქი იქნება სადღესასწაულოდ მორთული. ყველა სახლები დროშებით, ყვავილებით, გირლიანდებით.

ტრამვაის ვაგონები და ავტომობილებიც მორთული იქნება.

ამ დღეს ჩვეულებრივი მატარებლები გავლენ საგანგებოთ მორთულნი.

ქუჩაში აფიშები, პლაკატები.

გაიყიდება ჟურნალი „გვარდიელი“, გავრცელდება მოწოდებები. მოწოდებები გავრცელდება ჰაეროპლანითაც.

აღლუმის წესრიგი: მონაწილეობას მიიღებს გვარდია და ჯარი, პროფესიონალური კავშირები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოწაფეები. ორკესტრები: გვარდიის, ჯარის, სასწავლებლების.

გვარდია და ჯარი დაიჭერს ორთავე მხარეს პირველი გიმნაზიიდან დაწყებული ვერის ხიდისაკენ, ხოლო სასახლის მეორე მხარეს დაირაზმება პროფესიონალური კავშირები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

სიტყვებს წარმოსთქვამენ მთავრობის და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარენი.

საღამოს წესრიგი: ყველა რაიონებში მოეწყობა კლუბებში და თეატრებში, მუდმივ ნაწილებში 1 და 10 სახ. თეატრებში საღამოები დღესასწაულის აღსანიშნავათ. საღამოების გახსნამდე გაკეთდება მოხსენებები თანამედროვე მომენტზე.

საღამოთი რაკეტები, ილიუმინაცია ზარბაზნებიდან სროლა.

ბალშევიკების არალეგალური მუშაობა ჩვენში გარეშე ძალების დახმარებით

ამ დღეებში საქართველოს დეპეშათა სააგენტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაცემული ზოგიერთი დოკუმენტები გამოაქვეყნა იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ჩვენში ბალშევიკები საიდუმლოთ გარეშე ძალების დახმარებით.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა ზოგიერთ დოკუმენტებს ბალშევიკების მოღვაწეობისას პირადათ გავცნობოდით, რაც გვსურს გავუზიაროთ მკითხველებს.

აზრათ გვაქვს ჩვენი წერილების დაყოფა რამდენიმე თავად. პირველი თავი იქნება—

კომუნისტური ახალგაზრდობა.

გასინჯული დოკუმენტები მოგვყავს იმ ენაზე, რომელზედაც ის დაწერილია—ეს ერთი იმიტომ, რომ რუსულის მცოდნეთა რიცხვი ქართველ მკითხველებში, მადლობა ღმერთს, არც იმდენათ მცირეა და რაც მთავარია—გადათარგმნილ დოკუმენტს და განსაკუთრებით ბალშევიკურს აკლდება ის „მარილი“, რომელიც მას დედანში თან ახლავს.

МАНДАТЪ.

Данъ сей товарищу Севастьянову въ томъ, что онъ направляется въ Грузію по секретнымъ партійнымъ дѣламъ и везетъ съ собою пятьсотъ тысячъ рублей (500,000). Всемъ комендантамъ станціи—предоставлять обособленное мѣсто товарищу въ первыхъ отходящихъ поѣздахъ въ указанномъ направленіи. Членъ Кавкрайкома Д. Крымскій. Секретарь Саркисовъ. ბლანკზე—„Россійской Комун. союзъ молодежъ Кавказ. Краевой Комитетъ“. № 254 21 іюня

მეორე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სევასტიანოვს „предоставлено руководство работой на Северномъ Кавказѣ, въ Адербайджанѣ, Грузіи, Арменіи и прилегающихъ странахъ ближняго востока. Такъ какъ Кр. Комитетъ полномочный органъ Ц. К-та, то сносится надлежитъ вамъ непосредственно съ Краевымъ Комитетомъ. Временный П. К-тъ Грузіи утверждается. Въ цѣляхъ руководства работой въ направленіи революціонно боевой дѣятельности. Кавказскимъ Краевымъ Комитетомъ назначается тов. Севастьяновъ уполномоченнымъ Кр. К-та въ Грузіи.

Тов. Севастьянову представляется право отвода постановленіи Ц. К-та въ принципіальныхъ вопросахъ.

თუ რას აკეთებს კომუნისტური, ანუ როგორც ბალშევიკები უწოდებენ „მუშურ-გლეხური“ ახალგაზრდობა ჩვენში, ეს ყველამ კარგათ იცის. ისიც ვიცით, თუ საიდან ღებულობს ეს „მუშურ-გლეხური“ ორგანიზაცია საარსებო ლუკმას, მაგრამ მაინც ინტერესს მოკლებული არ იქნება ზოგიერთი საბუთების გამოქვეყნება.

პირველი საბუთი: კონვერტს აწერია ქართულად — „საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამხ. მამია ორახელაშვილს. საჩქარო“.

წერილი, რომელიც მოგვყავს სრულად, მართლწერის დაცვით, შეიცავს შემდეგს: „ქ. ბაქო. 23 ოკტომბერს. დიდათ პატივცემულო ამხანაგო მამია! ახალგაზრდათა კავშირის არა ნორმალურმა მდგომარეობამ საქართველოში მაიძულა ამ მცირედი ბარათით მოგმართოთ, რომლის მიღების შემდეგაც იმედი მაქვს რომ ის არა კეთილ განწყობილება რომელიც ემჩნევა პარტიასა და კავშირის შორის საქართველოში უკუ გდებულ იქნება, და კავშირი და პარტია გაუწევს ერთი მეორეს მხურვალე დახმარებას. პირველი რაც უნდა აღინიშნოს ეს ის არის რომ პარტიის ცეკას ახალგაზდათა კავშირზე ბრუნდე წარმოდგენა აქვს—ჰგონიათ რომ კავშირი ეს „ტეხნიკური კოლეგია“ რომელიც საჭიროა მხოლოდ არა ლეგალური მუშაობის დროს მარტოთ მარტო პროკლამაციის საზიდავათ, რასაკვირველია კავშირი პროკლამაციების გადაზიდვაზე უარს ვერ იტყვის როგორც ხუდუველა პარტიულ დავალებაზე მაგრამ უმთავრესი დანიშნულება მაინც ეს არ არის. რუსეთის პარტიის ცეკა დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზდათა კავშირს და ყოველ მხრითაც დახმარებას უწევს მას მარტო ის ფაქტი რას ნიშნავს რომ სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა ყრილობაზე რომელსაც მე დავესწარი იყვნენ ამხ. ლენინი ბუხარინი პრეობრაჟენსკი ლუნაჩარსკი პოდვოისკი და სხვები რომლებიც ყრილობის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ, ამხ. ბუხარინს და ლუნაჩარსკის ათი დღის განმავლობაში ერი ხმობაც ყრილობისა [illegible] გამოუშვია, საერთოდ რუსეთში პარტია ახალგაზრდათა კავშირებს ყოველ მხრით დახმარებას უკევენ როგორც მატერიალურად ისე მორალურათ. მე მგონია ასევე უნდა იყვეს საქართველოშიც გარდა ამისა დიდ არევ დარევას ჰქმნის ის გარემოება რომ თქვენ სისტემატიურათ „სმეტას“ კავშირისას არ ამტკიცებთ და იგინს უხდებათ ფულის

აქ თხოვი რაიც სხვადასხვა მოსაზრებით უპირობოდ მიგვაჩნია შემდეგისათვის ეს არ უნდა მოხდეს და თქვენი დახმარებით რომ არ მოხდება შემდეგში ეს ამის იმედი მაქვს ამას გარდა თქვენ მოვალეობას შეადგენს ყოველ თვე ამოთი ფულის მოთხოვით მათ და თუ რაიმე დეფიციტი აღმოჩნდება დამნაშავეები გადაუყენოთ და მისცეთ სასამართლოში. ამას გარდა მე მგონია რომ პარტიის ცეკა ვერ სარგებლობს თავის უფლებებით—თქვენ სრული უფლება გაქვთ გადააყენოთ და საერთოთ ახალგაზრდათა მოძრაობას ჩამოაშოროთ ის მოუშავეები რომლებსაც ცეკა საჭიროთ დაინახავს. აი მაგალითად რუსეთში პარტიის ცეკამ სრულიად ახალგაზრდათა მოძრაობას ჩამოაშორა, რომ ახალგაზრდათა ცეკას წევრები დუნაევსკი და იაკოვლევი იმისათვის ახალგაზრდობაში ისინი პარტიის ავტორიტეტს სცემდნენ თქვენც სრული უფლება გაქვთ აგრეთვე და უფრო „სტროგათაც“ მოექცეთ მავნე პიროვნებებს, მხოლოდ საერთოთ კი ახალგაზრდათა კავშირს ყოველმხრივი დახმარება როგორც ფინანსიური ისე მორალური უნდა აღმოუჩინოთ. უმორჩილესათ გთხოვთ ხშირათ გამოგზავნოთ ცნობები კავშირის მუშაობის შესახებ და თქვენი აზრი და შთაბეჭდილებაც გვაცნობოთ, აგრეთვე გვაცნობეთ თუ რაიმე არა ნორმალური მდგომარეობა შეამჩნიოთ.

ამ წერილთან ერთად გეგზავნებათ სმეტა რომელსაც გიგზავნით ამხანაგი სტასოვა და დუმბაძე, როგორც იგებმა ისე ჩვენც გთხოვთ ამას დამტკიცებას ნუ დააგვიანებთ, რადგანაც მათ ფული მის შემდეგ მიეცეთ რომელსაც ეგინი წინა თვეში წაღებული 800,000 მან. ანგარიშს ჩაგაბარებენ. გთხოვთ დაეხმაროთ კავშირს. მოველით თქვენგან წერილს. აღმოსავლეთის ახალგაზრდათა საბჭოს პრეზიდიუმის მონდობილებით წევრი პრეზიდიუმისა **ბ. ძნელაძე.**

დიდათ ბოდიშს ვიხდით რომ გვიხდება თქვენი შეწუხება.

(ბეჭედი)

რას შეიცავს „სმეტა“? მოგვყავს სრულიად.

Смета комунистическаго союза молодежи Грузіи за октябрь мѣсяцъ 1920 года

I. ЦЕНТРАЛЬНЫЙ КОМИТЕТЪ.

Жалованіе 6 професіоналамъ изъ конхъ 4 члена цека 1 секретарь 1 разсыльный 60,000 р.

Разездные и суточные членамъ цека и пріезжимъ изъ провинціи организаторамъ 90,000 р.

Непредвиденные расходы 70,000 р.

II. ИЗДАТЕЛЬСТВО ЖУРНАЛА.

Изданіе юбилейнаго номера къ 3 годовщинѣ октябрьской революціи на грузин. русскомъ и армянскомъ языкахъ 250,000 р.

На пріобрѣтеніе шрифта 150000 р.

Изданіе брошюръ, инструкцій, летучки и манифеста 150,000 руб.

III. КУТАИССКІЙ ГУБКОМЪ.

Жалованіе 7 професіоналамъ 70,000 р.

Суточные и разездные 100,000 р.

Субсидія мелкимъ организац. 50,000 р.

IV. ТИФЛИССКІЙ ГУБКОМЪ.

Жалованіе 7 професіонал. 70,000 руб.

Разездные и суточные 90,000 р.

Субсидія организаціямъ 50,000 р.

V. СУХУМСКІЙ ОКРУЖКОМЪ.

Жалованіе 5 професіонал. 50000 р.

Разездные и суточные 65,000 р.

Субсидія 35,000 р.

VI. БАТУМСКІЙ ОКРУЖКОМЪ.

Жалованіе 3 професіонал. 30000 р.

Разездные и суточные 25,000 р.

Субсидіи мелкимъ орган. 20,000 рублей.

VII. ТИФЛИССКАЯ ОРГАНИЗ.

Жалованіе 5 професіонал. 50,000 рублей.

На разные расходы 25,000 р.

Итого подлежитъ выдачѣ по смете за октябрь мѣсяцъ 1,490,000 р.

Членъ бюро Цека Сорели. Дзнеладзе Секретарь Захарьянцъ.

ამ „სმეტას“ შემდეგი წარწერები აქვს:

1) **„Въ виду того, что смѣта должна быть утверждена Ц. К. Грузіи и лишь после того можетъ быть удовлетворена Кавбюро Ц. К. Р. К. П. направляю товарищей въ заграничное бюро Ц. К. Грузіи къ т. Думбадзе. Елена Стасова. 23 октяб 1920 г.**

2) **Исправленіе и утвержденіе данной сметы предоставляется Цека Ком. Пар. Гр. по принятіи отчетности за предыдущіе мѣсяцы и утвержденія данной сметы выдать утвержденную сумму за счетъ Кавбюро Р. К. П. соотвѣтствующая сумма будетъ переведена свое время. За Кавбюро Думбадзе 24 окт. 1920 г.**

მ. ძნელაძის წერილში, სხვათა შორის, ლაპარაკია 800,000 მან. არ იქნება ინტერეს მოკლებული, ჩვენი აზრით, ამ საგანზე ორი დოკუმენტის გამოქვეყნება:

1) **Цека Грузинской компартіи, Копія Цека Комсомол. Сегодня получили телеграмму Цека Комсомола Грузіи не имѣетъ денегъ. Стасовой отъ имени Ковбюро предписано Вамъ черезъ Кирова немедленно выдать утвержденный Ковбюро смѣту Комсомола Грузіи сентябр мѣсяцъ 800,000 авансомъ. Категорически настаиваемъ немедленной выдачи денегъ Цека Комсомола. членъ президіума совѣта Моквостока** *Брейтманъ*.

2) **Цека Стасовой дано предписаніе телеграфно Цека партіи Грузіи выдать вамъ авансомъ 800,000 р. предписаніе Ковбюро дано черезъ Кирова. Требуйте выдачи денегъ. Всѣ выѣхали, пришлите вещи. Полученіе денегъ сообщите телеграфно. Членъ президіума Сомолвостока** *Брейтманъ*.

X.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

6 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ატამან სემიონოვის ბრბო.

ჩიტა 25 ნოემ. ატამან სემიონოვის ბრბო სრულიად დამარცხებულია. იაპონელებმა ამის გამო ხელთ ჩაიგდეს ზღვის ნაპირები და მანჯურიის საზღვარი დაკეტეს.

ლტოლვილები.

ლონდონი. 30 ნოემ. კონსტანტინეპოლში ყირიმიდან 120,000 ლტოლვილმა მოიყარა თავი. მრავალი სიმშილისაგან იხოცება. იმ გემებზე, სადაც ლტოლვილები სცხოვრობენ, სახადი გაჩნდა. მეზობელი სახელმწიფოები მათ მიღებაზე უარს აცხადებენ. მხოლოდ ბულგარეთი დასთანხმდა 10,000 კაცის მიღებაზე. მოკავშირეები რუსეთს სთხოვენ მიიღოს თავის-თავზე ლტოლვილთა ყურადღება.

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი. 4 დეკემ. ყველა ფრონტზე სიწყნარეა.

სათბობი მასალა.

მოსკოვი. 5 დეკემ. სათბობი მასალის კრიზისი ჯერ ჩვენ კიდევ არ მოგვიშორებია. წარსული წლის სიცხეებში ვოლგის წყლის შემცირების გამო ასტრახანიდან ჩვენ ვერ ამოვიტანეთ საკმაო ნავთი. ამიტომ ნავთი ძლიერ ეკონომიურად უნდა ვიხარჯოთ. ამ ჟამად დიდი მნიშვნელობა ეძლევა შეშას მთელ რიგ ქარხნებისას ესაჭიროება სათბობი მასალა. სანამ მარხილს გზა შეიქმნებოდეს, განსაკუთრებით გაუჭირდება რკინის გზას. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ძალა მოვახმაროთ შეშის დამზადებას. შეშით უზრუნველყოფის საქმე არის ყველა ორგანიზაციათა საქმე. შეშის ფრონტი იქნება ბრძოლის ფრონტათ.

მ ა ხ ნ ო.

მახნოს ჯარს, როდესაც ის უკვე რეგულიარულ ჯარათ შეიქმნა, ბრძანება გაეგზავნა კავკასიისაკენ წასასვლელად. ბრძანების აღსრულების მაგიერ ნოემბრის 23 მახნომ დაიწყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოქმედება. ამ ჟამად მახნოს მთავარი ძალები დამარცხებულია. მახნოს მთელი არტილერია ჩვენს ხელშია.

ინგლისელების ხრიკები.

ოსმალეთის ეროვნულმა მთავრობამ აცნობა, რომ ინგლისელები ყოველ ხრიკს მიმართავენ, რათა წაჩხუბოს ოსმალები ბოლშევიკებს. ინგლისელები პირდებიან ოსმალეთს ბაქოს, თუ ის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრებს. მოკავშირეები ავრცელებენ ხმებს, თითქოს ოსმალეთის ეროვნულ მთავრობასა და მათ შორის ზავი ჩამოვარდნილიყოს, ეს სიმართლეს არ შეიცავს. ჩვენ შორის ორავითარი საზავო მოლაპარაკება არ სწარმოებს.

თეთრი სომხეთის უკანასკნელი დღეები.

სომხეთში საბჭოთა მთავრობის გამოცხადების წინა დღეებში სრული არევ-დარევა მეფობდა. ქაღალდის ფულმა ყოველგვარი ღირებულება დაჰკარგა. იძარცვებოდა ყველა ვისაც შეეძლო, თვით მინისტრიც კი.

ბალახოვიჩის დასასრული

პოლონელებმა ჩამოართვეს ბალახოვიჩს მთელი „ობოზი“. ბალახოვიჩის ჯარისკაცებს აიარაღებენ პოლონელები და ბარაკებში აგზავნიან.

კაპიტალისტური დასავლეთი და საბჭოთა რუსეთი.

მოსკოვი. 6 დეკემბერი. საბჭოთა რუსეთის უახლოეს მიზანს შეადგენს სასოფლო მეურნეობის აღდგენა. მუშების და გლეხების მეოხებით შრომის ნაყოფიერება და წარმოება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. სახალხო მეურნეობის აღდგენა განსაკუთრებით ხელს უშლის ელექტრონის და სხვა მოწყობილობის უქონლობა. დონის ბასეინში დაცვდა ქვაბები და ელექტრონის მოწყობილობა სრულიად მინელდა. ომამდე ასეთ მოწყობილობის 60% ჩვენ საზღვარ გარეთიდან ვიღებდით. ეხლა მოწყობილობის შოვნა შეიძლება ოქროთი, ან საქონლის გაცვლა გამოცვლით. მაგრამ ჩვენი ოქრო და საქონლის მომარაგება არ არის საკმარისი.

ერთად ერთი გამოსავალი გზა მდგომარეობს დასავლეთის კაპიტალისტების მოწვევაში ეს კაპიტალისტები დაამუშავებენ რუსეთის სიმდიდრეს. ჩრდილოეთში ჩვენ გვაქვს დიდი სატყეო სიმდიდრე და დიდძალი ცარიელი მიწები. ამ სიმდიდრის დამუშავებას საბჭოთა რუსეთი უახლოეს წლებში ვერ შესძლებს. ამიტომ მან უნდა მოიწვიოს დასავლეთის კაპიტალისტები. კაპიტალისტებმა უნდა დაიცვან საბჭოთა რუსეთში არსებული კანონი შრომის დაცვის შესახებ. გარდა ამისა ისინი ვალდებულნი არიან დაამუშაონ სიმდიდრე ადგილობრივ და მოაწყონ საბჭოთა რუსეთში ქარხნები, ფაბრიკები და რკინის გზები. საბჭოთა რუსეთის სიძლიერე, რომელმაც დაამარცხა მტრები, იძლევა გარანტიას იმისას, რომ უცხოეთის კაპიტალისტები, რომლებიც მიიღებენ კონცესიებს არ ჩაერიონ ჩვენ შინაურ საქმეებში.

მუსტაფა ქემალი და ჩიჩერინი.

მოსკოვი. 5 დეკემბერი. საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ოსმალეთა სახალხო ყრილობის თავმჯდომარის მუსტაფა ქემალ ფაშის დეპეშა მიიღო, სადაც გამოთქმულია ოსმალეთის მცხოვრებთა აღფრთოვანება რუსეთის მიმართ, რომელიც ორ წელზე მეტია რაც აწარმოებს ბრძოლას მთელი ქვეყნის განთავისუფლების მიზნით და რომელსაც აღფრთოვანებით გადააქვს უმაგალითო ტანჯვა-წვალება იმ მიზნით, რომ სამუდამოთ მოისპოს დამჩაგვრელი მთელი ქვეყანაზე. მუსტაფა ქემალ-ფაშა რწმენას გამოსთქვამს, რომ იმ დღეს, როდესაც დასავლეთის მშრომელნი და აზიისა და აფრიკის დამონებული ხალხი გაიგებს, რომ საერთაშორისო კაპიტალი სარგებლობს მათი თავის ბატონობის სასარგებლოთ,—ბურჟუაზიის ძალა-უფლება დაემხობა. საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის მტკიცე კავშირი საჭიროა იქნება იმისთვის, რომ დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანდეს ყველა ის, ვინც მათ ძალა უფლებას იცავდა მორჩილებით, რომელიც დამყარებული იყო უკიდინარობაზე.

ფრანგული ცნობები

ლონდონის კონფერენციის შედეგები.

ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობის შორის გაიმართა მოლაპარაკება შაბათს. საუბრის საგანს შეადგენდა რამდენიმე საკითხი, რომელიც წარსულ სხდომაზე არ განუხილავთ. მათ შორის განიხილეს საკითხი რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა, ბრიუსელში მომავალ ექსპერტების ყრილობის შესახებ, სადაც განიხილება საკითხი თუ როგორი ზომები უნდა მიიღონ იმ შემთხვევაში თუ კონსტანტინე დაბრუნდა ტახტზე. ლოიდ ჯორჯმა აუწყა ლეიგს, საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმების საფუძვლები. ლეიგმა აღნიშნა ინგლისისა და საფრანგეთის თვალსაზრისის განსხვავება და დაუმატა, რომ საფრანგეთის მთავრობა საკითხის ახლა განხილვამდე ძველ გადაწყვეტილებაზე დარჩება. ერთად ერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება, ეს არის ის, რომ საფრანგეთის მწარმოებლებს მიეცემათ ნება რუსეთთან სხვადასხვა კომერციულ ხელშეკრულების დადებისა, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობა მათ უნდა მიიღონ. რაც შეეხება ფინანსიურ ზომებს, ის მდგომარეობს იმაში, რომ ტახტზე თუ კონსტანტინე ისევ დაბრუნდა მაშინ საბერძნეთს ფინანსიურათ აღარ დაეხმარებიან. ამ საკითხშიც შეთანხმება მოხდა.

ლიონის ცნობები

ლონდონის კონფერენცია.

ლონდონის კონფერენციამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ იმ ზომების შესახებ, რომლებიც უნდა მიიღონ აღმოსავლეთში ხანგრძლივი ზავის დასამყარებლად, სამი სახელმწიფო შეთანხმდა, გაიგონ წინასწარ საბერძნეთის მთავრობისა და ხალხის გადაწყვეტილება.

ყუბანში.

მიღებულია ცნობები, რომ ყუბანში აღსდგება ახალი ანტი-ბოლშევიკური ჯარი გენერალ ფოსტიკოვის მეთაურობით.

პოლონეთი და რუსეთი.

თანახმად დომბსკი და იოფეს განცხადებისა რიგაში მალე იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ზავის საკითხის შესახებ.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

4 დეკემბერი.

ამერიკა და რუსეთი.

პარიზი. ფრანგული პრესსა აღასტურებს ცნობას რეველში ამერიკელ ბანკირის ვანდერლიპის მისვლის შესახებ, რომელმაც მოაწერა ხელი შეთანხმებას რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო ხელშეკრულების განახლების შესახებ.

მუსტაფა ქემალი.

„ტანი“ იუწყება: მუსტაფა ქემალმა დაიწყო საერთო შეტევა ბერძნების წინააღმდეგ დასავლეთ ფრონტზე.

უნგრეთში.

ბუდაპეშტი. ქალაქში არეულობა დაიწყო. მუშებსა და ჯარებს შორის შეტაკება მოხდა.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესს ბიუროს ბიულეტენიდან

6 დეკემბერი.

ქემალისტები ტარსუსში.

სტამბოლი. 25 ნოემ. ტარსუსი სრულიად გაწმენდილია ქემალისტებისაგან; აღდგენილია ძველი მდგომარეობა.

ბრუსის ევაკუაცია.

სტამბოლი. 25 ნოემ. დაჟინებით ლაპარაკობენ ქემალისტების დიდ გამარჯვების შესახებ ბრუსის ფრონტზე; ბერძნები ბრუსის ევაკუაციას ახდენენ.

თავდასხმა იზმიდზე.

სტამბოლი. 25 ნოემ. იზმიდიდან მოსულ ცნობების თანახმად რიზეს რაიონში (?) თავს იყრიან ქემალისტების ძალები. ისინი დახმარებას მიეღიან ადაბაზარის ნაციონალისტებისაგან და განზრახვა აქვთ თავს დაესხან იზმიდს.

დაშნაკელთა დადებული საზავო ხელშეკრულება.

ერივანი. 4 დეკემბერი (რადიო). დაშნაკელების მთავრობის წარმომადგენელმა ხატისოვმა და ოსმალეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შემდეგ საზავო ხელშეკრულებას: „საზღვარი სომხეთს და ოსმალეთს შორის შეადგენს შემდეგი ხაზი: მდ. ქვედა ყარა რუს შესართავიდან დაწყებული მდინარე არეზი, არპაჩაი, კარაკანკას ხეობა (გაურკვეველია), დიდი აღმოსავლეთის გამალი, კიზილტაი, მთა დიდი ალბაბა, გეგე-დაგ, 10,282—8,022 (რამოდენიმე სიტყვა არ არის მიღებული), 3,080 (გამოტოვებულია), 3,867 მდ. არპაჩაიდან (გამოტოვებულია), 6,930 (გამოტოვებულია), სადგური არარატი (შემდეგ გაურკვეველია ზოგიერთი რაიონები, რომლები,—გაურკვეველია) ოსმალეთის მფარველობის ქვეშ არის; ამათ მმართველობაში სომხეთს არა აქვს უფლება ჩაერიოს; ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ პლებისციტი მოხდებოდეს, რომელიც გამოარკვევს მმართველობის ფორმასა და საზღვრებს იმ სახით, რომ არ იქნება დარღვეული საზოგადოებრივი მშვიდობიანობა, რასაც (დარღვევას) გამოიწვევს იმპერიალისტურ სახელმწიფოების წაქეზება და აგიტაცია. ნება დართულია წესრიგის დასაცავათ იყოლიონ საკმაო რაოდენობა მსუბუქათ შეიარაღებულ ჟანდარმერიისა. სახელმწიფოს საზღვრის დასაცავათ სომხეთს უფლება ეძლევა იყოლიოს დაქირავებული შეიარაღებული ძალა 1.500 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ექნება 120 ტყვიის მფრქვეველი და 8 მსუბუქი საველე ზარბაზანი. აღნიშნულის გარდა სომხეთს არა აქვს უფლება იყოლიოს სხვა ჯარი, როგორიც უნდა იყოს იგი.

საბჭოთა რუსეთი სომხეთს აძლევს.

მოსკოვი, 6 დეკემბერი (რადიო) რუსეთის საბჭოთა მთავრობამ, მიიღო რა ცნობა სომხეთში მომხდარ გადატრიალებისა და იქ საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შესახებ საჩქაროთ დაადგინა სადაო ოლქები—ზანგეზური, მთა-გორიანი ყარაბაღი და ნახჩევანი გადასცეს საბჭოთა სომხეთს.

(**შენიშვნა:** ცნობები იმის შესახებ, თითქოს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სადაო ოლქების სომხეთის ძველი მთავრობისათვის გადაცემის შესახებ, რაც გამოქვეყნებული იყო თფილისის გაზეთებში, სინამდვილეს არ შეეფერება. **პრესს ბიურო.**

დაშნაკელების ზავი და საბჭოთა რუსეთი

ბაქო 5 დეკ. ბაქოს „კომუნისტი“ სწერს: „იმ დროს, როდესაც სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ, რომელმაც დაჰკარგა ყოველგვარი ნდობა მასსაში გუმბრში ხელი მოაწერა სომხეთის დამოუკიდებლობის გამანადგურებელ ზავს,—ამ დროს საბჭოთა რუსეთი ხმამაღლა აცხადებს სადაო ოლქების—ზანგეზურს ნახიჩევანსა და მთაგორიან ყარაბაღის საბჭოთა სომხეთზე გადაცემის შესახებ.

„იმ დროს, როდესაც ბ-ნი ვილსონი აცხადებს პლატონიურ სურვილს ჩარევის შესახებ იმ დროს, როდესაც ხალხთა ლიგა აწყობს მე 10 კომისიას სომხეთის საკითხის გადასაწყვეტათ,—ამ დროს საბჭოთა რუსეთი აღადგენს სომხეთს მის ეტნოგრაფიულ საზღვრებში. ყველა ოლქები, რომლებიც უმთავრესად სომხებით არიან დასახლებულნი უსათუოდ შეუერთდება დამოუკიდებელ სოციალისტურ სომხეთს.“

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ **დღეს,** საღამოს 6 ს. მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და თფილისის კავშირთა სეკრეტარიატის გაერთიანებული სხდომა.

◆ **ოთხშაბათს,** საღამოს სრულ 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ აუდიტორიაში მეორე რაიონული კოლექტივი იწვევს წევრთა საზოგადო კრებას. გაკეთებული იქნება მოხსენებები მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და მიმდინარე საკითხებზე.

◆ **მთავრობის თავმჯდომარეს** წარუდგა 6 დეკემბერს ახლად დანიშნული საფრანგეთის წარმომადგენელი ბ-ნი შევალიე მთელი მისის შემადგენლობით.

◆ **მარგანეცის ელევატორი.** ფოთის ელევატორის შესწორება დამთავრდება 1921 წლის იანვარში. გადაწყვეტილია გაღრმავონ ნავთსადგური და გააფართოვონ რკინის გზები.

◆ **რკინის გზელთა კონფერენციამ** თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადასტურა რკ. გზ. კავშირის ცენტრალური გამგეობის დადგენილება რკ. გზელთა ყრილობის დეკემბრის 25 ისათვის მოწვევის შესახებ. რკ. გზ. მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობის საკითხის განხილვის შემდეგ კონფერენციამ დაადგინა, რომ რკ. გზელებს გარდა პირველ საჭიროების საგნებით დახმარებისა, უნდა უწევდენ ფულით დახმარებასაც. ამას გარდა. კონფერენციამ მიიღო რკ. გზ მომავალ ყრილობის შემდეგი დღიური წესრიგი. 1) მიმდინარე მომენტი, 2) გამგეობის მოხსენებანი, 3) კავშირის რეკონსტრუქცია, 4) რკინის გზელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, 5) მუშათა კოოპერატივების დაარსება და სხვა.

მატყლის ფასი. მომარაგების სამინისტრო იუწყება: სამინისტროს მიერ 1920 წ. ოქტ. 8 გამოცხადებული ფასები მატყლზე, ცხოვრების საერთო გაძვირებისა და სხვადასხვა მიზეზების გამო, გადიდებულია. მცხოვრებთ მატყლი რაიონულ კოოპერატივების საშუალებით დაურიგდებათ. მომარაგების სამინისტრო მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსს“ დაპირდა 20,000 ფუთ სიინდს, რომელიც ამ საზოგადოებისმ წევრ-მწყემსებს უნდა დაურიგდეს.

◆ **მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდიის** მესამე ყრილობა აღფრთოვანებით მიესალმება საკანონმდებლო ორგანოს დამფუძნებელ კრებას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას. ყრილობა ფიცსა სდებს, რომ პირველ ბრძანებისთანავე იგი ფეხზე დადგება რესპუბლიკის დასაცავად.

◆ **პრემიალური სისტემის შემოღების შესახებ.** ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ 3 დეკემბრის სხდომაზე ერთხმად მიიღო შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი დაწესებულებებსა და წარმოებებში პრემიალური სისტემის შემოღებისა. საბჭომ მიიღო აგრეთვე ის შესწორებები რომელიც შეტანილ იქნა პროექტში საქართველოს პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საკანონმდებლო კომისიის მიერ.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი** წელს სექტემბერში იყო სამ ნახევარი მილიონი მანეთი ე. ი. 1919 წ. შედარებით 2 მილიონი მანეთით მეტი.

◆ **მიწად-მოქმედების მინისტრი** დ. ონიაშვილი დეკ. 4 შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. მთხოვნელთა მიღება იწარმოებს ორშაბათსა და ხუთშაბათობით 10—11 საათამდე.

◆ **ქალაქის საბჭოს სხდომები.** ამის შემდეგ ორშაბათის მაგიერ მოხდება შაბათობით, საღამოს 8 საათზე.

◆ **მეტყავეთა პროფესიონალური კავშირის** დელეგატთა საბჭოს პრეზიდიუმი დელეგატთა საბჭოს წევრების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ხუთშაბათს, საღამოს 6 ს. შესდგება ამავე საბჭოს სხდომა. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

კრებები.

ახალგაზრდა მარქსისტთა მეორე რაიონული კოლექტივის პრეზიდიუმი იწვევს დღეს სამშაბათს საღამოს სრულ 5 ნახ. ძველი და ახალი კოლექტივების გაერთიანებულ სასწრაფო სხდომას მე-2-რე რაიონის ბიუროში.

საქართველო და ერთა ლიგა

პარიზი. „ტანი“ ბეჭდავს საქართველოს იმ მემორანდუმის საბოლოო ნაწილს, რომელიც საქართველოს დელეგაციამ—ე. პ. გეგეჭკორის და ზ. ავალიშვილის სახით წარუდგინა ერთა ლიგის კონფერენციას ჟენევაში საქართველოს რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

„დადგა რა დასავლეთ დემოკრატიის დროშის ქვეშ, ამბობს მემორანდუმის საბოლოო ნაწილი, საქართველოს ხალხი ბუნებრივათ, განსაკუთრებული სიმპატიით ეპყრობა ისეთ პოლიტიკურ სისტემის შექმნის იდეას, რომელიც არის პირდაპირი შედეგი ომისა და რომელიც ამავე დროს არის საშუალება, რათა მომავალში აიცილოს კაცობრიობამ თავიდან ომის წარმოშობა. ერთა ლიგა, რომელიც ასეთს სისტემას შეიცავს, წარმოადგენს საუცხოვო მიღწევას თავის ნაყოფიერებით, რათა კაცობრიობამ მიაღწიოს მომავალში სრულ კავშირს. აღძრავს რა შუამდგომლობას ერთა ლიგაში მიღების შესახებ, საქართველო სრულიად არ ხელმძღვანელობს სურვილით მიიღოს აქედან რაიმე უპირატესობა პოლიტიკური, ან სხვა რაიმე ხასიათისა. საქართველოს სურს მხოლოდ იცნოს განათლებულმა ერებმა ის დიადი მუშაობა, რომელიც მიმართულია თავისუფლების და დემოკრატიულ წყობილების დამყარებისაკენ გარდა ამისა, საქართველოს მხურვალე და გულწრფელი სურვილი არის მიიღოს თავიდანვე მონაწილეობა ლიგის საერთო მუშაობაში, რომელიც მიმართულია ხალხთა შორის მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ.

საქართველოს სურს მიიღოს თავის თავზე რამდენათაც ეს მას შეუძლია, ნაწილი ამ მუშაობისა. საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა იძლევა ისეთ პირობებს, რომ მის ხალხს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო საზავო პოლიტიკაში, რომლის განხორციელებელ ორგანოთ ხალხთა ლიგა ითვლება. ლიგა მით უმეტეს მეტ ძალას მიიღებს, რაც უფრო გულწრფელათ და აქტიურათ შემოიერთებს იმ პოლიტიკურ ფაქტორებს, რომელთაც შეუძლიათ მოახდინონ გავლენა სხვადასხვა ქვეყნებში საზოგადოებრივ აზრზე და უხელმძღვანელონ მას.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ერთა ლიგის ავტორიტეტის იმ ქვეყნებში განმტკიცებას, რომლებსაც ან თავიანთ გეოგრაფიულ მდგომარეობით, ან პოლიტიკურ პირობებით შეუძლიათ გახდენ სხვადასხვა გართულების კერად, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია მოახდინოს გავლენა და გაავრცელოს ევროპის პოლიტიკურ მთლიან ცხოვრებაში. არ იქნება გადამეტება მტკიცება, რომ ასეთ პირობებში იმყოფება სწორეთ კავკასიის ყელი. პოლიტიკური დამოკიდებულება და მის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკათა სიმტკიცე (საქართველო, სომხეთი, ადერბეიჯანი) არის აუცილებელი პირობა ახალ ოსმალეთის და სპარსეთის თავისუფალ განვითარებისა, ვინაიდან ამ გზით აღნიშნული სახელმწიფოები განთავისუფლებული იქნებიან გარეშე მტრების შესევის მუდმივ მუქარისაგან. კავკასიის ყელის სახელმწიფოთა სიმტკიცე საჭიროა იმიტომაც, რომ აზიის წინა ნაწილი არ გახდეს მსხვერპლი მეტოქეობისა და ჯიბრისა.

ამიერ კავკასიის მიზანი საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორც ეს გამორკვეული, არის იმ გავლენათა და ბატონობის სფეროების ჩამოშორება, რომლებშიაც არის ტენდენცია კონფლიქტის გამოწვევისაკენ მიმართული. ამ მხრით ამიერ კავკასიის სახელმწიფოთა გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველო არის ამიერ-კავკასიის ერთი უმთავრესი ნაწილი, ნათელი გახდება, რომ საქართველოს მიღება ერთა ლიგაში გაუადვილებს მას (ერთა ლიგას) ამიერ-კავკასიის პოლიტიკის წარმოებას და ამავე დროს აწევს თვით ლიგის ავტორიტეტს ამიერ-კავკასიაში, სადაც ამ ავტორიტეტის დამტკიცებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება.

არსებობს კიდევ მეორე შეხედულება ამ პრობლემაზე, რომლის ძალით საკითხი ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შესახებ და აგრეთვე საქართველოს ერთა ლიგაში მიღების შესახებ ხდება საერთაშორისო საკითხი: ეს არის მიმოსვლის იმ გზების მნიშვნელობა, რომლებიც მიდიან საქართველოზე სპარსეთში, სომხეთში და შუა აზიაში. ცოტაა ისეთი სავაჭრო გზები, რომლებსაც ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორიც არის გზა, რომელიც მიდის ამიერ-კავკასიით და აერთებს დასავლეთს ახლო მდებარე და შუა აზიის სხვადასხვა ქვეყნებთან.

ამ გზის საერთაშორისო ხასიათის დასაცავად მომავალში და მის გამოსაყენებლად საუკეთესო გარანტია იქნება ის დახმარება, რომელსაც ერთა ლიგა მისცემდა ამიერ კავკასიის ქვეყნებს: საქართველოს ერთა ლიგაში შესვლა კი ამ მიზანს მეტათ გაადვილებდა. მეორე მხრით, როგორც ეს ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ, ერთა ლიგის მთავარი მიზანი იქნება მოწყობა და გაუმჯობესება გზებისა სხვა ერებს შორის. ამიერ კავკასიის ქვეყნები და კერძოდ საქართველო უცხოელთა ბატონობიდან განთავისუფლებული—გამოდგება ლიგას დასაყრდნობ საფუძვლათ აღმოსავლეთში.

კავკასიის საკითხის ასეთი საბოლოო გადაწყვეტა, რომელიც ეთანხმება ერთა ლიგის მოქმედების საფუძვლათ დადებულ პრინციპებს, გაადვილებული იქნება მეტად საქართველოს ერთა ლიგაში მიღებით, იმ საქართველოსი, რომლის მდგომარეობა და წინანდელი როლი უზრუნველყოფს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გარდა ზემო მოყვანილ მოსაზრებებისა, საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ თვით პრინციპები, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ საერთაშორისო ცხოვრება, სოლიდარობისაკენ მიმართული, მოითხოვენ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ძველი ერის მიღებას, რომელიც ოდესღაც იყო ქრისტიანობის ავანგარდი აღმოსავლეთში და რომელიც დღეს ითვლება დემოკრატიის ავანგარდათ. უნდა იქნეს მიღებული ის ერი, რომელიც მიისწრაფის თავისუფალ შრომისაკენ თავის სახლში, რომელიც არის მისი კანონიერი და უდავო მემკვიდრეობა. (ლდს).

შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის ინსპექტორის ივ. ქარცივაძის ხელმოწერით 2 დეკემბერს, გაეგზავნა ყველა მაზრის და ქალაქის მილიციის უფროსებს და ყველა ქალაქის და საერობო თვითმართველობებს შემდეგი ცირკულიარი: მიუხედავათ მრავალჯერ მოხდენილ განკარგულებათა, ზოგიერთი მილიციის უფროსები განაგრძობენ სამსახურში მილიციის უფროსათ, მილიციელათ თუ სხვა თანამდებობაზე ისეთ პირთა მიღებას, რომ-

ლებიც სხვაგან მსახურობდნენ და სხვადასხვა დანაშაულობათა გამო დათხოვნილი იყვნენ სამსახურიდან, ამის გამო, ხშირად ამა თუ იმ თანამდებობაზე ინიშნება პირი, რომელიც ღირსი არ არის ამისა. ეს მოვლენა არანორმალურია: მას დიდი არევ დარევა შეაქვს საქმეში. ადმინისტრაციას ხალხის თვალში უკარგავს ნდობას და სცემს მთავრობის პრესტიჟს. ამიტომ თითოეული პირის შესახებ, როგორც სამსახურში მყოფ აგრეთვე იმათ შესახებ, რომლებიც შემდეგ მიიღებიან, კანცელიარიაში უნდა მოიპოვებოდეს გარდა ნამსახურების ქაღალდისა და სხვა წერილობითი დოკუმენტებისა, ცალკე შეკრებილი დაწვრილებითი ცნობები, თუ როგორი ყოფა-ქცევისაა ესა თუ ის პირი, როგორია მისი ზნეობრივი და სხვა მხარეები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს მისი მიღებისა თუ არ მიღების საკითხი. ასეთი ზომებით შესაძლებელია ადმინისტრაციის გაჯანსაღება და მისი შესაფერ დონეზე დაყენება. გვეცნობება რომ ამას სახელმძღვანელოდ, უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას ყოველივე ეს სასტიკად იქნეს დაცული. (სდს.).

მთავრობაში

მთავრობამ, მოისმინა რა მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა ლვიმევისა და გელათის მონასტერთა მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: იმ ღირებულებათა დასაცავად, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, 1 დეკემბრიდან დაწყებული, 10 მილიონიან ფონდიდან ყოველთვიურად გადადებულ იქნას ლვიმევის მონასტრისათვის 10,000 მანეთი და გელათის მონასტრისათვის 20,000 მანეთი.

თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: დეკემბრის პირველიდან მიეცეს სოხუმის ეპარქიას ყოველთვიურათ 25,000 მან.

— თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა, მთავრობამ დაადგინა: სახელმწიფო ქაღალდთა დამამზადებელ ექსპედიციის ახალი შენობის ასაგებად დამატებით გადადებულ იქნას სათანადო თანხა.

— მთავრობამ მოისმინა რა იუსტიციის მინისტრის მოხსენება მიწებზე უდიდეს ფასების დაწესების დეკრეტის პროექტის შესახებ, დაადგინა: მიიღოს პროექტი მეორე მუხლში შეტანილ შესწორებით.

— მთავრობამ დაადგინა: 1920 წლ. ივნ. ს 19 სოხუმის საგანგებო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ნუჯიდ გოგუპიროვის დახვრეტის შესახებ დამნაშავეს 14 წლის კატორღით შეეცვალოს.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ყველა სექცია ენერგიულ საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებს. აგროვებენ თეთრეულებს, ხელთათმანებს, თბილ წინდებს, თუთუნს, პაპიროსებს, საპონს, წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს და სხვ. ნივთების შეკრების უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებსაც ექნებათ მთავარი კომიტეტის მიცემული სათანადო რწმუნებულებანი და წიგნაკები.

იმ მიზნით, რომ ფართო საზოგადოებამ იცოდეს, თუ რა ხდება კომიტეტში, კომიტეტმა გადასწყვიტა თავის მოღვაწეობის შესახებ აცნობოს საზოგადოებას ქალაქის სხვადასხვა ადგილას და კერძოთ საქართველოს დეპეშათა სააგენტოსაგან თავის ვიტრინათა მოწყობით და შიგ შემომწირველთა სიების გამოქვეყნებით.

— ადგილობრივი განყოფილებებთან მუშაობის შეთანხმების მიზნით მთავარმა კომიტეტმა პროვინციაში დაიგზავნა სათანადო ინსტრუქციები.

— საორგანიზაციო საქმეების გათავების შემდეგ განზრახულია შემწირველთა მოსაკრებათ თფილისსა და პროვინციაში დეკემბრის 19—20 ფრონტის სასარგებლოთ „ნაძვის ხეების" დღე მოაწყონ. (სდს)

* * *

მოქალაქე რედაქტორო! გაახლებთ ჩემს წვლილს ფრონტის სასარგებლოთ —ათას თუმანს (10,000 მ.*)

ალექსანდრე ივანეს ძე ჯანგველაძე.

საავადმყოფო კასათა კონფერენცია

დეკემბრის 5 გაიხსნა საქართველოს კასათა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ: თფილისის, ბათომის, ფოთის, სოხუმის, ქუთაისის, ქიანკის, ჭიათურის და ტყიბულის საავადმყოფო კასათა წარმომადგენლები. კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე მადრიძე, თავმჯდომარის ამხანაგებათ თელია და პაიჭაძე. კონფერენციის მუშაობის გახსნის წინ დაადგინეს: გაუგზავნონ მისასალმებელი დეპეშები ქ. კაუცკის, დამფუძნებელ კრებას, მთავრობას, სახალხო გვარდიას და პროფ. კავშირთა საერთაშორისო ბიუროს ამსტერდამში. დეპეშების შედგენა მიენდო პრეზიდიუმს.

მისასალმებელ დეპეშების მოისმინეს შემდეგ კონფერენცია შეუდგა საორგანიზაციო კომისიის მოხსენების მოსმენას. კონფერენციამ დაამტკიცა დღიური წესრიგი. 1) მოხსენებანი ადგილებიდან, 2) კანონი მუშების დაზღვევის შესახებ და საავადმყოფო კასათა უახლოესი მიზნები 3) დაზღვევა დიდებისა, სიბერისა, სიქვრივისა, სიობლისა, უმუშევრობისა. 4) სოციალური დაზღვევა და კანონმდებლობა შრომის დაცვის შესახებ, 5) ორგანიზაციული საკითხები და სხვა. დასასრულ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან.

ბეჭდვითი კავშირში

ოქმი 14—21 ნოემბრის საზოგადო კრებისა.

(დასასრული იხ. „ერთ." № 278).

იოსებ იმედაშვილი. ამხანაგებო! ერთი ბანაკის მიერ წარმოთქმული აზრები იმდენად ცალმხრივად და ჩვენი კავშირის საზიანოდ მომაჩნია, რომ არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არ მოგახსენოთ.

თქვენ იცით, ამხანაგებო, და თუ არ იცით—უნდა იცოდეთ, რომ ბეჭდვითი საქმის პროფესიონალური კავშირი ერთი უპირველესთაგანია თავისი ხელოსნობის მნიშვნელობით. გეტყვით სულ უბრალოდ: რა ეშველებოდა სწავლულ მეცნიერთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა ნააზრევს, ნაშრომ—ნაწერს, თქვენ რომ არ აწყობდეთ არ ბეჭდავდეთ და არ აქვეყნებდეთ. საქართველოში თუ ვისმეს შეუძლიან სთქვას ხალხის ერთობლივ გამოფხიზლებაში, მის წინსვლაში, რევოლუციაში მონაწილეობა მიმიღიაო, მათზე უფრო უწინარეს თქვენ. თქვენ იყავით, რომ ამ ოცი ოცდა ათი წლის განმავლობაში ალვივებდით ჩვენი ქვეყნისა და ხალხის განვითარება-აღდგენის წმინდა ცეცხლს. რაკი ეს ასეა, მაშინ ჩვენს კავშირსაც დიდის სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ. აქ სთქვეს: კავშირის გამგეობაში ყველა მიმდინარეობის მომხრეებს უნდა მიეცეს ადგილი, რადგან ჩვენ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება გვაქვს მიზნად, და არა პოლიტიკაო. თქვენი შრომის ხელფასი დაბალია, თქვენ მოახდინეთ რევოლუცია, სხვები ბედნიერობენ და თქვენ კი გაჭირვებაში ხართო. ამის დასკვნა ასეთია: გამგეობაში თუ ჩვენ ვიქნებით, თქვენს მდგომარეობას გავაუმჯობესებთო.

მართალია, ჩვენ თითქოს მარტო ჩვენი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება გვაქვს მიზნად, მაგრამ როგორ შეიძლება დღევანდელ რთულ გარემოებაში პოლიტიკა ეკონომიის ჩამოშოროთ,—პირიქით დღეს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ურთიერთზე მტკიცედ გადაჯაჭვულია. რადგანაც თქვენ გეუბნებიან, რევოლუცია თქვენ მოახდინეთ, ყველაზე გაჭირვებულნი კი თქვენა ხართო, ეს თავის თავად პოლიტიკაში ჩარევაა და აქედან ბრალი ედება არსებულ წყობილებას, ამ წყობილების მესაჭე მთავრობას. მაგრამ ვიკითხოთ, ვინაა ეს მთავრობა?—ეს ხომ თქვენგან არჩეული ხალხია, ეს ხომ თქვენის დასტურით, თქვენთან მუდმივი ურთიერთობით გამგებლობს? და თუ გაჭირვების შემსუბუქება შესაძლებელი იქნებოდა, განა ამას თქვენთვის ეს თქვენი მთავრობა დაიზარებდა?

მაგრამ საკითხავია, ეს გაჭირვება, სურსათისა და სანოვაგის ნაკლებობა, საერთოდ სიძვირე, ჩვენში უფრო დიდია, თუ იმ ქვეყანაში, რუსეთში, რომლის პირისუფლების მომხრენი,—აი, ეს ეგრედწოდებული კომუნისტები,—თქვენ ასე დაჟინებით გიზიდავენ სულსა და გულს?! აბა გაბედონ, ბბ. კომუნისტებო, და დაამტკიცონ, რომ რუსეთში მუშა ხალხის მდგომარეობა და საერთოდ ცხოვრება უკეთესადაა მოწყობილი, ვიდრე ჩვენში!..

ამბობენ: მუშა ხალხის ხელფასი დაბალიაო და სხვანაირად როგორ შეიძლება, როდესაც მრეწველობა-წარმოება დაცემულია, მისი შექმნის საშუალება მოდუნებული!

აქა ბრძანეს, მუშა ხალხმა რევოლუცია მოახდინა, ხოლო ყველაზე გაჭირვებაში ეს მუშა ხალხია; მისი მონაპოვარით სხვები მოილხენსო. ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ დღეს გაჭირვება საერთოა, მსოფლიოა, და თუ ჩვენს რესპუბლიკაში ნივთიერად თავს უკეთ გრძნობს ვინმე—ეს სპეკულიანტები, დანარჩენი ნაწილი საზოგადოებისა კი დემოკრატიული ინტელიგენცია, მასწავლებლობა, მოხელენი და სხ. მუშებზე უარეს მდგომარეობაში თუ არა, უკეთესში მაინც არ იმყოფებიან. დიახ, გაჭირვება საერთოა, მაგრამ ვიკითხოთ: ვინ შექმნა ეს გაჭირვება? სწორედ იმათ, რომელნიც ყოველივეს ამხობენ, ანგრევენ, ნთქავენ, შექმნით კი არაფერს ჰქმნიან, სწორედ იმათ, რომელთა სულის ჩამდგმელებმა მოგვაწყვეს არა ერთი ამბოხება—ქართლის ოსების აჯანყება, ადერბეიჯანის შემოსევა, იმათ, რომელთაც სომხეთი სისხლში ჩააქრობინეს, იმათ, რომელთა მაკურთხებელნი სიტყვით ჩვენს დამოუკიდებლობას აღიარებენ, საქმით ჩვენს შინაურ საქმეებში ხელებს აფათურებენ...

გაჭირვებაში ხართო! მე გეტყვით, ეს გაჭირვება შეიძლება ჯერ კიდევ არაფერი იყოს იმასთან, რაც შეიძლება მოჰყვეს ამათსავე საიდუმლო ნამოღვაწევს. მოგახსენებთ, დღეს ჩვენი მუშა ხალხის საუკეთესო, მოწინავე ნაწილი, იმის მაგიერ, რომ წინ დღევანდელის შესაქმნელად შრომობდეს, იარაღ ასხმული სახლვრების დასაცავად არის გასული, რომ ამათსავე მოკავშირის შემოჭრას გზა გადუღობოს.

იფიქრეთ ამ შეიარაღებულ ძალის შენახვა რა დაუჯდება რესპუბლიკას.

არა მგონია მათს ანკესზე წამოეგოს ვინმე, გარდა გარეწრებისა და ჩვენის დამხობის მონატრეთ, რომელნიც გამოვლილნი არიან.

კავშირის გამგეობაში უნდა შევიდეს ყველა მიმართულებისა და ერთეულების განურჩევლად, მაგრამ არა ისინი, ვინც მხოლოდ ჩვენს დაღუპვას ისახავენ მიზნათ.

ნება მიბოძეთ ვიკითხო, საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი საქმის კავშირში რა ადგილი აქვს იმას, ვინც დღე ღამე მხოლოდ იმას ფიქრობს, როგორმე დასცეს, დაამხოს ამ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, იმას, ვინც მხოლოდ ერთ ზრუნვაშია, ჩვენის ხალხის თვითარსებობას ის გაუჭირვოს საქმე, რომ ხელახლად უცხოთა ბატონობის მონურ უღელში გააყოფინოს კისერი?!

დარწმუნებული ვარ, ჩვენი კავშირის მთლიანი შემადგენლობა თუ არა, მისი შეგნებული მოწინავე რაზმი მაინც არსებულ მდგომარეობას ანგარიშს გაუწევს, კიდევ უფრო უარეს გაჭირვებას არიდებს, მაგრამ არ აჰყვება იმ მაცდურებს, რომელთაც საპირადო უფრო აფიქრებს, ვიდრე საერთო საკეთილდღეო საქმე.

იმედაშვილის სიტყვის შემდეგ კამათი წყდება, გაბათილებულ იქნას 14 ნოემბერს მომხდარი არჩევნები, და მოხდეს ახალი არჩევნები გამგეობისა. წინადადებას კრება ერთხმად ღებულობს.

თამაზაშვილი მენშევიკთა სახელით აცხადებს, რომ ის თანახმაა მოხდეს არჩევნები პროპორციონალურის სისტემით.

თავმჯდომარე ულოცავს კრებას, რომ ორივე მიმდინარეობათა შორის ხდება შეთანხმება. ცხადდება სია ორივე მიმდინარეობათა: მენშევიკებისაგან № 1, ბოლშევიკებისაგან № 2. ირჩევა ხმების დამთვლელი საკონტროლო კომისია.

არჩევნების შედეგი ასეთია: № 1—მიიღო 262 ხმა, № 2—მიიღო 261 ხმა.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. პარასკევს, 3 დეკემბერს მოხდა ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება ამხ. მ. ვეფხვაძის თავმჯდომარეობით. მეორე რაიონულ კოლექტივიდან მოხსენება გააკეთა ამხ. კ. მაჭრაძემ, რომელმაც კრებას გააცნო ახალი სამინისტროს შემადგენლობა. როგორც მომხსენებელმა განაცხადა, ცენტრალურ კომიტეტში დაარსებულა მუშების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების კომისია, რომელსაც ყოველივე ზომები მიუღია მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამხანაგებმა მოიწონეს კომისიის გადაწყვეტილება მუშებზე სხვადასხვა სურსათის დარიგების, ფულის მაგივრად. აღშფოთება გამოიწვია ამხანაგებში იმ საზიზღარმა ბოროტმოქმედებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მობილიზაციის დროს. ამის შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. მაჭრაძე შენობის შესახებ; გამგეობის წევრ შოთაძეს დაუიმედებია შენობის გამომძებნელი კომისია, რომ ამ სამ დღეში ჩაგვაბარებენ მთებერელის ქუჩაზე მესამე ნომერ სახლს, რომელშიაც დღემდე იყო მოთავსებული რესტორანი „ზემო იმერეთი" და მილიციის უფროსის ბრძანებით დაიხურაო. ამხ. მ. ვეფხვაძე აცხადებს რომ, მან და ს. ტალახაძემ შეიძინეს ის პარტები, რომლებიც ძველ შენობაში აწყვია. ამხ. შ. გომართელს დაევალა დაიბეჭდოს გაზეთებში მოწოდება ნ. ჟორდანიას სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკა სამკითხველოს შესახებ, რომ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ერთად ერთ კულტურულ დაწესებულებას ჩუღურეთში, საზოგადოებამ დახმარება გაუწიოს.

მდივანი **შალვა გომართელი.**

მუშათა შორის

თფილისი. რუსულ „კომუნისტის" მე-39 №-ში მოთავსებულია ვინმე „მუშა ალბერტი"-ს წერილი, ამ სათაურით: „როგორ დაიკეტა მეტყევეთა კავშირი?" როგორც ეტყობა, ბ. „მუშა ალბერტი" ძალიან „მიუდგომელი" უნდა იყოს, რომ ასე აწერს კავშირის დახურვის ისტორიას. ვინც იცის მეტყევეთა კავშირის ისტორია და წაიკითხავს „ალბერტის" წერილს, ის დამეთანხმება, რომ „ალბერტმა" ისე იცის მეტყევეთა კავშირის დაკეტვის საქმე, როგორც მაგალითად მე ჩინური ენა, ან როგორც დელიჟანის და ქარავან სარაის მცხოვრებლებმა სოციალისტური რევოლუციის მოხდენის საქმე, მაგრამ „ალბერტი" როგორი კომუნისტი იქნება, თუ სიმართლეს დასწერს? ის გაეცნობა საქმეს და ისე იმსჯელებს მასზედ. მაგრამ შეიძლება მან იცის საქმე და მაინც სწერს იმას, რაც არ მომხდარა? შეიძლება. მით უარესი მისთვის. უნდა შერცხვეს „კომუნისტი"-ს მკითხველებისა, რომ ასეთი სიცრუეთა ჰკვებავს მათ, მაგრამ ალბერტმა და მისმა ამხანაგებმა რომ იცოდნენ სირცხვილი რა არის, მაშინ ხომ მათი პარტიაც აღარ იქნებოდა. მაგრამ გადავხედოთ იმის ლათაიებს, რასა ბრძანებს ის: „საქმე იქამდის მივიდა, რომ სეკრეტარიატის წარმომადგენელი ჩხენკელიც კი ბოროტმოქმედებაში გვდებდა ბრალსა"-ო. მართალია, ამხ. ჩხენკელი ბრალსა გდებდათ ბოროტმოქმედებაში.

მაგრამ თქვენ დაამტკიცეთ წინააღდეგი? არა. იქნება ეხლა ინებოთ წინააღმდეგის დამტკიცება? ვნახოთ შემდეგში, მხოლოდ ეხლა თქვენს წერილში ვერაფერს ვხედავთ საამისოს. შემდეგ ბრძანებთ: „მეტყევე მუშები ცდილობენ პროფესიონალურ კავშირის ფარგლებში ეწარმოებინათ მუშაობა, ეკონომიურ ნიადაგზე"-ო და ჩხენკელის განცხადება, რომ კავშირი კომუნისტურ ბიუროთ იყო გადაქცეული, სრული სიცრუეა"-ო. რომ მეტყევე მუშები ცდილობენ პროფესიონალურ კავშირის ფარგლებში ეწარმოებინათ მუშაობა, ამაში მე თქვენ გეთანხმებით. ეს მართალია, მაგრამ ასეთ ცდას მუშებისას რომ თქვენ ღობებოდით წინ, ესეც მართალია. მოიგონეთ თქვენი გამოცემული პროკლამაციები და სხვა. რომ კავშირი თქვენს ხელში კომუნისტურ ბიუროთ იყო გადაქცეული, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მუშებს ყოველ გზა ჯვარადინზედ საბჭოთა წესების შემოღებისაკენ მოუწოდებდით. თქვენა ბრძანებთ: „სეკრეტარიატმა გადასწყვიტა დაეარსებია ახალი კავშირი"-ო. არც ეს არის მართალი. სეკრეტარიატმა კი არ გადასწყვიტა ახალი კავშირის დაარსება, ეს თვითონ მუშებმა გადასწყვიტეს. და დააარსეს კიდეც. დღეს ჩვენი კავშირი აერთებს 1070 მუშას და არა 300 ს, როგორც თქვენა ბრძანებთ. თქვენდა სამწუხაროთ ახალი კავშირის მესვეურებს უფრო დიდი ავტორიტეტი აქვს მუშებში, ვიდრე თქვენ მიერ ჩაწერილი შეგირდებიანი მუშები ჩვენ კავშირიდან გავრიცხეთ. ჩვენს კავშირში შტრეიკბრეხერები აღარ არიან, ვინც იყვნენ, ძველ კავშირს გავაყოლეთ, სამაგიეროთ, კავშირში მუდამ კვირას 40—50 მუშა იწერება, რაც ჩვენ სასარგებლოთ ლაპარაკობს. მეტყევე მუშები მართლაც დაჰფასებენ თქვენს მუშაობას და ჩვენ მუშაობასაც. ისინი იტყვიან, თუ ვინ აშენებს კავშირს და ვინ ანგრევს მას. მათ ეს თავის დროზედ სთქვეს კიდეც. თქვენ კი ბ. „ალბერტო" გირჩევდით თავი გაგენებებიათ ასეთი ყალბი წერილების წერისთვის, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ წავიდა ის თქვენთვის სანეტარო დრო, როდესაც მუშებს ატყუებდით. ეხლა მუშებმა იციან ვინა ხართ თქვენ და რა გინდათ მათგან.

ვანიკო.

პროვინცია

გორი. ნეტავი რას ფიქრობს გორის სადგურის ადმინისტრაცია, როცა ხედავს მგზავრებს, რომლებიც იყინებიან სადგურის ფარღალა სადგომში? ნუ თუ შეუძლებელია, რომ „ფეჩი" მაინც დადგან შიგ, რომ ცოტათი მაინც შეთბეს სადგომი. იქნება არც ფეჩი აქვს რკინის გზას და აღარც შეძლება, რომ იყიდოს, იმ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, გორელები დიდის კმაყოფილებით მისცემდნენ ფეჩის საყიდელს ფულს, თუ კი სადგურში მატარებლის ლოდინში არ გაიყინებოდნენ. დიდი გულგრილობა და მგზავრების აბუჩათ აგდება, თორემ ნუ თუ არ შეიძლებოდა ნახევარი არშინი მილი მიემატებია იმ წყალსადენ მილისთვის, რომელშიც სახურავიდან წვიმის და თოვლის წყარო გროვდება და ეხლა შიგ შუა სადგომში ჩამოდის. და მგზავრები მთელს ღამეს დგანან წყალში, ისეც გაყინულ სადგომში?.. საჭიროა მეტი უნარიანობა, თორემ მილები აურება არის დანგრეულ სადგურის ბოძებზე ტყუილა უბრალოთ.

მგზავრი.

* * *

ფოთი. 7 ნოემბერს რკინის გზელთა თავისუფლების სახლში კულტურულ-განმანათლებელ რაიონულმა გამგეობამ გახსნა ზამთრის სეზონი; რეჟისორად მოიწვია დამსახურებული მსახიობი სტ. ხარაზიშვილი. გახსნისას ამხ. რ. ქორქიამ მიმართა სიტყვით დამსწრე საზოგადოებას. მან მოკლეთ აღნიშნა სახალხო თეატრის მნიშვნელობა.

შემდეგ, წარმოდგენილი იქნა ვოდევილი. „არც იქით, არც აქეთ" სცენის მოყვარეთა მონაწილეობით. ხალხი ბლომად დაესწრო, ყველა მოთამაშენი თავიანთ როლებს გვარიანათ ასრულებდენ, განსაკუთრებით ბევრი ასიამოვნა მსმენელი საზოგადოება ს. ხარაზიშვილმა, შემდეგ გაიმართა ცეკვა.

მარნილი.

დ. ჩოხატაური (გურია) 23 ნოემბერს შესდგა ჩოხატაურის მუდმივ და სათადარიგო გვარდიელთა საერთო კრება. თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ს. წერონძე. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება საოლქო შტაბის წარმომადგენლისა მდგომარეობის შესახებ, 2) მოხსენება ადგილობრივ შტაბისა ერთი წლის მუშაობის შესახებ ყველა განყოფილებიდან, 3) მიმდინარე კითხვები 4) არჩევნები შტაბისა. მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზ. წულაძემ. შტაბის ერთი წლის მუშაობის შესახებ ყველა განყოფილებიდან მოხსენება გააკეთა შტაბის თავმჯდომარემ დ. შარაშიძემ. ამის შემდეგ მოხდა არჩევნები. თავმჯდომარემ კრებას მისცა წინადადება აირჩია სარეკომენდაციო კომისია, მაგრამ კრებამ არ ისურვა საჭიროთ ეს და პირდაპირ დაასახელა კანდიდატებათ ისევ ძველი შტაბის წევრები, რადგანაც სხვა კანდიდატები არ იყო დასახელებული, კრების გადაწყვეტილებით მოხდა არჩევნები ღიათ. აირჩიეს ერთხმად: ამხ. დ. შარაშიძე, გ. ცინცაძე, ვ. ჩიგოგიძე.

გვარდიელი.

რედაქტორი **ჟუჟუნ ნათაძე**

განცხადებანი

მე ბაგრატ არმაზანოვმა
დავკარგე
უბის წიგნი, რომელშიც იყო სხვადასხვა ანგარიშები, მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს, რისთვისაც მიიღებს საჩუქარს. ჩემი მისამართი: მე-7 კომისარიატი, სრეტენის შესახვევი № 2, ან და 19 თებერვლის ქ. ბახმეიევის ქარვასლა, სპილენძის დუქანი არტაშეს კარახანოვისა. (3909 1—1)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. ჩელიშ-აზარიანცისა, ბ. 6. № 20. (5 იან.)

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

ექიმი **ა. დ. პეპელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე პანიევი
იღებს სამშობიარო და ქალის სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6, საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავადმყოფობანი ავადმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (1 იანვ.)

ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულებები (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული სიფილისით (შამ. „606" და „914") ბუშტის და საშარდის ავად. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს ტელეფონი 18—95. (7 იანვ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4 5 [illegible] [illegible] ქ. № 23. (21 დეკ.)

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35. (18—დეკ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—დეკ.

ექიმმა
ნიკოლოზ მახვილაძემ
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

ექიმი
ზ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ქ. № 22, [illegible]

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ. № 23 ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავადმ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—6 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროექტორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—97. დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიმნაზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურობა ნივისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ ჯედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. [illegible] საწოლები. ყორღანოვის ქ., 2/3 ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)

---

*) ფული რედაქციამ მიიღო.